საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 28 სექტემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.
რედაქც. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 220 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 220

გულდამწვარი შვილის შვილები: ლუკა, ნინა, ბაბო, თამარა; შვილი ეფრემ და რძალი ბაბალე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი დიდედასი და დედის

ეფემია ზრემვაძის

გარდაცვალებას ამა თვის 25-ს. პანაშვიდი პარასკევს, 26-ს და შაბათს, 27-ს საღამოს 6 საათზე თავის ბინაზე: პრიუტის ქუჩა № 25. გამოსვენება კვირას, 28 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, კალოუბნის ეკლესიაში. დასაფლავება იმავე დღეს კუკიის სასაფლაოზე. (2—1)

ინჟინერი ნესტორ დიმიტრის ძე ცინცაძე აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძვირფას დედის

მატრონა დანიელის ასულის ცინცაძის

გარდაცვალებას, რაიცა მოხდა ქალ. თფილისში, სამშაბათს სექტემბრის 23, ნაშუადღევის 4 საათზე, დაკრძალვა მოხდა ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში, სექტემბ. 25-ს, ნაშუადღევის 12 საათზე. წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ქალ. ფოთში კათედრალურ ტაძარში, კვირას, სექტემბ. 28-ს, დილის 10 საათზე.

ინჟინერი კონსტანტინე დიმიტრის ძე ცინცაძე მეუღლითურთ—ოლღა ალექსანდრეს ასული შვილებით: თამარ და ჟორჟ—აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქალ. თფილისში, სამშაბათს, სექტემბრის, 23 ნაშუადღევის 4 საათზე გარდაიცვალა პირველთა ძვირფასი დედა და მეორეთა დიდედა

მატრონა დანიელის ასული ცინცაძე

დაკრძალვა მოხდა თფილისში ქაშვეთის წმ. გიორგის ტაძრის ეზოში სექტემბრის 25 ს, ნაშუადღევის 12 საათზე, წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ქ. ფოთში კათედრალურ ტაძარში, კვირას, სექტემბრის 28-ს, დილის 10 საათზე.

სოფია დიმიტრის ასული და გიორგი ალექსანდრეს ძე საბახტარიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას დედის და სიდედრის

მატრონა დანიელის ასული ცინცაძის

გარდაცვალებას, რაიც მოხდა სამშაბათს, სექტემბრის 23-ს, ნაშუადღევის 4 ს. ქ. თფილისში. დაკრძალვა ხუთშაბათს, სექტემბრის 25, ნაშუადღევის 12 ს. წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ქ. ფოთის კათედრალურ ტაძარში სექტემბრის, 28-ს დილის 10 საათზე

მეუღლე ლიუდმილა დიმიტრის ასული და ილია ალექსანდრეს ძე ოსიტაშვილები შვილებით: ლიზეტა და თამულიკა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. თფილისში, სექტემბრის 23, ნაშუადღევის 4 საათზე გარდაიცვალა მათი ძვირფასი დედა და სიდედრი

მატრონა დანიელის ასული ცინცაძე

დაკრძალვა მოხდა ქ. თფილისში. [illegible] ნაშუადღევის 12 ს. წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ქალ. ფოთში საკათედრო ტაძარში ენკენისთვის 28 ს, დილის 10 საათზე.

მეუღლენი ქეთევან დიმიტრის ასული და კონსტანტინე სერგის ძე მედიჩი ქალით ტატიანათი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ქ. თფილისში, სექტემბრის 23 გარდაიცვალა მათი ძვირფასი დედა

მატრონა დანიელის ასული ცინცაძე

დაკრძალვა ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში ენკენისთვის 25 ნაშუადღევის 12 ს. წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება ფოთის კათედრალურ ტაძარში კვირას 28 დილით 10 საათზე.

ფრანჩესკო ემილის ძე კონდაო ქალით: სონათი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას სიდედრის და დიდედის

მატრონა დანიელის ასულის ცინცაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ქ. თფილის, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში, სექტემბრის 25, ნაშუადღევის 12 საათზე. წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ქ. ფოთის კათედრალურ ტაძარში, სექტემბრის 28-ს, დილის 10 საათზე.

შვილები განსვენებულ

მატრონა დანიელის ასულის ცინცაძესი

გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთ, რომელთაც პირადად თუ დეპეშით გადასცეს სამძიმარი მათ მწუხარების გამო.

მარია ევსტაფის ასული და სიმონი პეტრეს ძე ალნიაშვილი შვილებით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი შვილის

ქეთოს

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 28 სექტემბერს, დილის 9 საათზე, ბინიდან (ნავთლუღის ქ. № 25) ნავთლუღის წმ. ბარბარეს ეკლესიაში, დაკრძალვა იქვე ეკლესიის გალავანში.

სახალხო გვარდიის გურიის საოლქო შტაბი, ოფიცრები და გვარდიელები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ქ. ოზურგეთში 23 სექტემბერს ვერაგულად მოკლეს გვარდიელი

ლონგინოზ ივანეს ძე რამიშვილი

დედ-მამა: ნატალია და ივანე, ძმები: იოსები და გიგო კონდახჩოვები, დები: ნინა ამირბეგოვისა და ელენე ხიტაროვისა, სიძე ალიოზი ხიტაროვი, რძლები: ემილია, შუშანიკა, მეუღლე მიცვალებულისა აშხენი კონდახჩოვები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი

მიშა (მიხეილ) ივანეს ძე კონდახჩოვის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ორშაბათს, 29 სექტემბერს, დილის 10 საათ. საკ. სახლიდან (შვინდისის შესახვევი, № 2—4) შუა ბაზრის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი საღ. 6 საათ. საკ. სახლში.

ვარლამ ჭრელაშვილი, მეუღლით, მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ქ. ქუთაისში 26 ენკენისთვეს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, ფილტვების ანთებით, უდროოდ გარდაიცვალა მისი ქვისლი და მეგობარი

დათიკო ტარიელის ძე კიკიანი.

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 30 სექტემბერს ქ. ქუთაისში.

მწვავე საჭიროებანი

ერთხელ კიდევ უნდა შევჩერდეთ ჩვენ მწვავე ტკივილებზე. ერთხელ კიდევ უნდა მივუთითოთ საზოგადოებას და მის ხელმძღვანელთ აუცილებელ და გადაუდებელ საჭიროებაზე, რომელიც უდიდეს ყურადღების ღირსია. ეს გახლავთ სურსათის საჭიროება.

ჩვენს ქვეყანას სხვა უფრო მტკივანი ადგილი არ მოეპოვება. გაძვირება პურის, რომელიც მთავარი საზრდოა ჩვენი ხალხის. დამშევა ქალაქის და სოფლის,—ეს უსაშინელესი საფრთხის წინამორბედია. ერთხელ ჩვენ უკვე გადვიტანეთ ნახევარ გირვანქიანი ულუფა და რაღაც შერეული პურის მსგავსი ნატეხებითაც ვიკვებებოდით და ეს იმ დროში ხალხმა დიდის დრტვინვით აიტანა.

მეორეთ კი ამის ატანა შეუძლებელია. მხოლოდ მოგონება 1918 წლის ზამთრის ჟრუანტელს გვრის მცხოვრებლებს. და ეხლაც არა უკეთესი მდგომარეობა მოგველის, თუ ახლავე არ იქნა სათანადო, ენერგიული ზომები მიღებული.

რა გაკეთებულა ამ მხრივ?

თითქოს ბევრი, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, ნამდვილათ ძალიან ცოტა. ჩვენ გვქონდა სასურსათო საბჭოები, კომიტეტები, მომარაგების ორგანოები, გვაქვს უმაღლესი საბჭო სურსათის მომწოდებელი. მაგრამ ეს არის მხოლოდ კრებული პირთა, კანცელარია, ადმინისტრაცია, რაც გინდათ, მხოლოდ არა ერთი გეგმით, პლანით, წინასწარ შეაღჭურვილი დაწესებულება.

ჩვენ გვაქვს ორგანოები, მაგრამ არ გვაქვს სისტემა და ამიტომ სასურსათო საბჭო ხშირათ ყიდულობს იმას, რასაც მიაწვდიან, რასაც შეხვდება, მაგრამ არ ყიდულობს, ან ვერ ყიდულობს იმას, რაც ხალხს ასე ესაჭიროება. იგი ხშირათ მისდევს მოგებას, სარფიანობას, მაგრამ არ აკმაყოფილებს ხალხის მთავარ გაჭირვებას. იგი შერეული ტიპია ადმინისტრატორის და ვაჭარის, მაგრამ მასში ვერ ვხედავთ სახელმწიფოებრივ საჭიროებაზე მზრუნველს.

სახელმწიფოს მოვალეობა არ არის ვაჭრობა და ვაჭრობით მოგების დაგროვება; მაგრამ მისი მოვალეობაა, აუცილებელი მოვალეობაა, შიმშილობის დროს ხალხის გამოკვება, უსურსათობის ხანაში სურსათის მიწოდება, და ამისთვის თუ ზარალს ნახავს ნივთიერათ, ამით საზოგადოება, ხალხი, და ამის საბოლოო ანგარიშით თვით სახელმწიფოც მოგებული დარჩება.

ჩვენ ვიცით, რომ დღევანდელი საბჭოს წინაპრები, პურის შეძენათ დაარსებულნი, ყიდულობდენ და იძენდენ ყველაფერს, რაც გინდა, გარდა პურისა. მათ იყიდეს მატყლი, თამბაქო, რკინა, შაბიამანი, და ყველაზე მცირე შეიძინეს მთავარი საზრდო ხალხისა—პური და სიმინდი. რამდენიმე თვე ახალი უმაღლესი საბჭოს არსებობისა ასეთისავე პოლიტიკის გაგრძელებაში გავიდა.

აქაც მრავალგვარი მიზნებია დასახული, ფართე პერსპექტივებია გათვალისწინებული, მაგრამ ამ ფართე სიტყვიერების ნიაღვარში იხრჩობა უახლოესი საქმენი, უსაჭიროესი მოთხოვნილებანი მიმდინარე მომენტისა. საბჭო ოცნებობს ოქროს ზაჯალოებზე, ხაზინის გამდიდრებაზე, სარფიან კომბინაციებზე და ამავე დროს ხალხი დარჩება, დამშეული უპუროთ, უშაქროთ, უსურსათოთ და სიძვირის საშინელებაში ამოხდება სული პირველად ყოვლისა იმათ, ვინც შექმნა რესპუბლიკის საძირკველი, ვინც დაიცვა იგი გარეშე და შინაური საფრთხისაგან, ვინც შრომით ცხოვრობს, ვინც მიწას ჩასცქეროდა და მიწამ უმტყუნა.

და ეს კი ძირს გამოთხრაა თვით რესპუბლიკის.

ამიტომ ჩვენ ვამბობთ: არ არის დღეს სურსათზე უფრო დიდი საკითხი, არ არის მაზე მეტად საზრუნავი სხვა საგანი ჩვენი, საგარეო და საშინაო პოლიტიკა, ჩვენი არსებობის საკითხი, შინაური მყუდროება და გარეშე პატივისცემა სურსათის მიწოდებაზეა დამოკიდებული.

და ამ საქმის მოგვარებაში მთავრობამ უნდა აამუშაოს არა მარტო ადმინისტრატიული აპარატი, არა მარტო საგანგებოთ ამისთვის მოწვეული საბჭოები, არამედ ყველა საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებანიც, მათი თანხები გამოიყენოს, თავის თანხებიც შეუერთოს და ასე ხალხი მოსალოდნელ შიმშილს გადაარჩინოს.

საშუალო სკოლის რეფორმა.

უჩუმრად, მაგრამ ენერგიულად ხორციელდება სკოლის რეფორმა. სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში იმისთანა პრინციპიალური ცვლილებები გატარდა, როგორიც არის სკოლის ნაციონალიზაცია, სალვთო სჯულის სწავლების გაუქმება. ყველა სკოლებში, სამრევლო სკოლების ჩვეულებრივ პირველდაწყებით სკოლებად გადაქცევა და სხვ. დღეს სკოლის რეფორმა უფრო და უფრო ღრმავდება: უკვე მკვიდრი საძირკველი ჩაეყარა „ერთ მთლიან სკოლის" პრინციპს მით, რომ ყველა წოდების და ყველა შეძლების ბავშთათვის ერთი და იგივე სახალხო პირველ-დაწყებითი სკოლაა გახსნილი; გიმნაზიის მოსამზადებელ კლასების დახურვით მოისპო პრივილეგიურ კლასების არსებობა.

გატარება მხოლოდ პირველდაწყებით სწავლაზე ვერ შეჩერდებოდა. ეს პრინციპი სწორედ იმ მოთხოვნილებაზეა დამყარებული, რომ ერთ სასკოლო საფეხურიდან მეორეზე გადასვლა დაუბრკოლებლივ შეიძლებოდეს, რომ დაბალი სწავლა დასაწყისი ყოფილიყო მაღალ სწავლისა და მაღალი სწავლა დაკავშირებული ყოფილიყო პირველ-დაწყებით სწავლასთან. იმ სასკოლო სისტემაში, რომელიც ჩვენ სამკვიდროთ დაგვიტოვა თვითმპყრობელმა რუსეთმა, ეს კავშირი დაბალ და მაღალ განათლებას შუა სრულიად არ არსებობდა—„დაბალი სკოლა"—ეს ხალხისთვის იყო, მაღალი კი—პრივილეგიურ საზოგადოებისთვის. ხალხის შვილები ათავებდენ პირველდაწყებითს სწავლას და ამით სრულდებოდა მათი განათლება: გადახტომა იმ უფსკრულზე, რომელიც სახალხო და საშუალო სკოლის შუა იყო ამოთხრილი, თითქმის შეუძლებელი იყო, რადგანმათ შორის არ არსებობდა პროგრამული კავშირი. პრივილეგიური საზოგადოების შვილები კი ანბანის სწავლიდანვე ემზადებოდენ უმაღლეს სასწავლებლებისათვის.

„ერთი მთლიანი სკოლის" პრინციპი აი სწორედ ამ წესს უთხრის სამარეს. იგი მოითხოვს, რომ საშუალო სკოლის პროგრამა შეთანხმებული იყოს პირველ დაწყებით სკოლის პროგრამასთან, რომ იგი პირდაპირი განგრძობა იყოს პირველ დაწყებით სკოლისა, რომ ყოველს პირველ-დაწყებით სწავლა-დასრულებულს ბავშვს დაუბრკოლებლივ გახსნილი ჰქონდეს გზა ჯერ საშუალოში, შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში.

დღეს ამნაირი რეფორმა საშუალო სკოლისა უკვე ტარდება. ყველაზე დიდ. მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც საშუალო სკოლის სისტემაში შედის, მდგომარეობს ამ სკოლაში გაბატონებულ კლასიციზმის გამოდევნაში. კლასიციზმი, განათლების კლასიკური სისტემა მარტო იმაში არ მდგომარეობდა, რომ გიმნაზიებში კლასიკურ, ძველ ენებს უდიდესი ადგილი ჰქონდა დათმობილი. საქმე აქ საათების რიცხვში კი არ იყო, არამედ სწავლა აღზრდის სისტემაში. ბერძნული ენის სწავლება, მაგალითად, უკვე ამ საუკუნის პირველ წლებში მოისპო. ლათინური ენის სწავლების დასაწყისი გიმნაზიის პირველ კლასიდან მესამეში გადაიტანეს; ლათინური ენის გაკვეთილების რიცხვი რევოლიუციამდისაც სულ მცირდებოდა და მიუხედავათ ყველა ამისა, განათლების კლასიკური სისტემა მაინც მკვიდრათ იყო გამეფებული საშუალო სკოლაში. ეს სისტემა მარტო ლათინურ და ბერძნულ ენაში კი არ იხატებოდა, იგი იჭდა ყოველ საგანში, სწავლების მეთოდში, საშუალო სკოლის მთელს წყობილებაში **ცხოვრებასთან დაშორება**—აი კლასიციზმის მიზანი. როგორც საგნების სწავლება, ისე მთელი სწავლა აღზრდა ისე უნდა ყოფილიყო დაყენებული, რომ ცხოვრების სიო რაც შეიძლებოდა ნაკლებ მიჰკარებოდა მოსწავლის ნორჩ გონებას. საშუალო განათლებას ერთი დანიშნულება ჰქონდა: ბავშვს სახელმწიფოს მანქანის ნაწილად ამზადებდნენ; ამ დანიშნულების გარეთ რაც ნაკლებ ეცოდინებოდა ბავშვს, მით უკეთესი იყო. ამ მთავარ მიზნით აიხსნება არა მარტო ძველი ენების ბატონობა გიმნაზიაში: ამითვე აიხსნება ის, რომ ლიტერატურაში ძველს პერიოდებს უფრო ატანდნენ ძალას და ახალ პერიოდების სწავლებას უფრთხოდენ; მათემატიკაში გამეფებული იყო უფრო სხოლასტიკა და გონებრივი ჯამბაზობა, ვიდრე ის, რაც ცხოვრებაში სჭირდება კაცს; ბუნებისმეტყველება თითქმის სრულიად გამოდევნილი იყო; ბუნებისმეტყველების ნაცვლად სალვთო სჯულს აწვდიდენ ბავშვის მაძიებელს გონებას.

საშუალო სასწავლებლის რეფორმამ ძირიანად უნდა ამოაგდოს ეს სისტემა. ახალმა სკოლამ უნდა სწორედ წინააღმდეგი მიზანი დაისახოს: ცხოვრებასთან დაშორების ნაცვლად, ცხოვრებასთან დაახლოვება. ბავშვის აღზრდის დანიშნულება ის კი არ უნდა იყოს, რომ იგი მოამზადოს სახელმწიფოს მექანიზმის ნაწილად, რომელსაც მოდუნებული [illegible] იგი, პირიქით, უნდა აღზარდოს ისე, რომ მისგან გამოვიდეს შეგნებული მოქალაქე ძლიერი ნებისყოფით და ხასიათით დაჯილდოვებული, დამოუკიდებელი პიროვნება, რომელიც მომზადებული იქნება ცხოვრებასთან ბრძოლისათვის. გიმნაზია აქამდის ზრდიდა იმისთანა მოღვაწეებს, რომლებიც სახელმწიფოს ემსახურებოდენ, მაგრამ არსებულ წესწყობილების ცვლილების საჭიროებაზე არც ჩაფიქრდებოდენ და ამას ვერც მოახერხებდენ. მომავალ სკოლამ უნდა შექმნას ისეთი მოღვაწე, რომლის მთელი არსება იქნება განუწყვეტელი წინსვლა, განუწყვეტელი ცვლილების შეტანა იმის გასაუმჯობესებლად, რაც დღეს არსებობს.

ეს მიზანი აქვს დასახული განათლების სამინისტროს მიერ შედგენილს ახალს გეგმას საშუალო სკოლისას. ამ გეგმიდან მთლად გამოდევნილია ძველი ენები (ლათინური ენა არასავალდებულო საგნათ არის გადაქცეული). საშუალო სკოლის პროგრამაში ძლიერ ნაკადით შეიჭრა ბუნებისმეტყველება, რომლის ყველა დარგებს აქვს დათმობილი საპატიო ადგილი. ჰუმანიური საგნების—სიტყვიერების, ისტორიის, ელემენტარული ფილოსოფიის—სწავლება განზრახულია ისე, როგორც ამას მოითხოვს უფრო საღი თანამედროვე პედაგოგია. გიმნაზიის კედლებში პირველათ შემოდის პოლიტიკურ ეკონომიის სწავლება. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი პროგრამა საპატიო ადგილს უთმობს საშუალო სასწავლებელში ტანვარჯიშობას და ხელგარჯილობას: ყველასაგან ცნობილია, რომ საუკეთესო საშუალება დაღლილობის წინააღმდეგ ის არის, რომ ერთი დარგის შრომა მეორეთი შესცვალო, გონებრივი—ფიზიკურით; ამ პირობის წესიერათ ასრულებით, ამ ორი დარგის შრომის შეხამებით შეიძლება იმ მიზანს მივაღწიოთ, რომ გონებრივი შრომაც სასიამოვნო იყოს ბავშვისთვის და ფიზიკურიც.

ამნაირია საერთოდ ის რეფორმა, რომელსაც ატარებს განათლების სამინისტრო საშუალო სკოლაში. სკოლის გარდაქმნა ერთბაშად ვერ განხორციელდება, ახალ სკოლის საბოლოოთ ჩამოყალიბებას მრავალი წლები დასჭირდება. შეიძლება ახალ პროგრამებში ბევრი ისეთი რამ აღმოჩნდეს, რასაც მომავალში შეცვლა დასჭირდება. მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. უმთავრესია აქ ის მიზნები, რომლის განხორციელებაც საფუძვლათ უდევს სკოლას, და ის პრინციპები, რომელზედაც აშენებული იქნება ახალი სასკოლო სისტემა. ამ მიზნების და ამ პრინციპების მხრივ განზრახული სასკოლო რეფორმა სწორ გზას ადგია და ეჭვი არ არის, რომ განახლებული სკოლა კეთილს ნაყოფს გამოიღებს.

შინაურ საქმეებისკენ

დღემდის ჩვენ საშუალება არ გვქონდა სათანადო ყურადღება მიგვექცია შინაური საქმეებისათვის, უკეთ, შინაური პოლიტიკისათვის. უმთავრესი ჩვენი დრო, მთავარი ჩვენი ენერგია საგარეო საქმეებს უნდებოდა, საგარეო პოლიტიკა იწოვდა. ალყა შემორტყმული ირგვლივ, ჩქედილი ფოლადის ფრონტებში, გარემოცული დიდი და პატარა მტერ-მოყვრების მიერ, რესპუბლიკა განსაცდელში იყო და მისი არსებობა ბეწვზე ეკიდა. ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივია თუ უმთავრესი ჩვენი საქმიანობა, მეტი ნაწილი ჩვენი ენერგიისა საგარეო პოლიტიკაზე იხარჯებოდა.

სწორათ გაგებულმა საერთაშორისო მდგომარეობამ, სწორათ აღებულმა პოლიტიკური მოქმედების გეზმა რესპუბლიკა დღემდის იხსნა ყოველგვარი განსაცდელისაგან.

დღეს თითქოს თავისუფლათ ამოვისუნთქეთ. ამ დასულთქმების მომენტი ფართეთ უნდა იქნას გამოყენებული ჩვენი შინაური პოლიტიკისათვის, ჩვენი შინაური საქმიანობისთვის. ყველა გრძნობს და ვხედავთ, რომ ჩვენ შინაურ ცხოვრებაში ბევრი რამ არის მოუწესრიგებელი, ბევრი რამ სრულიად უყურადღებოთ არის მიტოვებული, ბევრი რამ [illegible] დღემდის საერთაშორისო მდგომარეობა არ გვაძლევდა ყოველივე ამის მოწესრიგების საშვალებას, დღეს მაინც ფართეთ უნდა ვისარგებლოთ შექმნილი მდგომარეობით და მთელი ჩვენის ენერგიით შევუდგეთ შინაური საქმეების რადიკალურ მოწესრიგებას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რესპუბლიკის შინაური გამტკიცება—ნიშნავს იმავე დროს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის გამტკიცებასაც.

საგარეო და საშინაო პოლიტიკა ორი მხარეა ერთი და იმავე ჩვენი მოღვაწეობის. მარა დგება მომენტი, როცა პირველ რიგში ხან ერთია, ხან მეორე. დღემდის პირველ რიგში იდგა საგარეო პოლიტიკა, დღეს ამ დასულთქმების დროს, შესაძლებელია პირველ რიგში დავაყენოთ შინაური პოლიტიკა, შინაური საქმიანობა და ამით გავამტკიცოთ იმავე დროს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობაც.

ყველა ჩვენი შინაური საკითხები ფართეთ უნდა დაისვას, გარკვეულ უნდა იქნას, სათანადოთ გადაჭრილი და მათ გარშემო ფართე შემოქმედებითი მუშაობა გაცხოველდეს. მთავრობის და საზოგადოებრივი ორგანოების ინიციატივაზე და ენერგიაზეა უმთავრესათ დამოკიდებული ასეთი მუშაობის გაჩაღება.

ფხიზელი თვალი გარეთ, დაუზოგველი შრომა და ენერგია შიგნით—აი ის გზა და ხიდი, რომელზედაც უნდა ამოძრავდეს რესპუბლიკის მაშენებელთა ქარავანი.

თუ რომელი საკითხები მიგვაჩნია ჩვენ უფრო მნიშვნელოვანათ, ამაზე არა ერთხელ გვექნება ლაპარაკი.

განი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ამას წინად ჩვენ გადავბეჭდეთ სომხეთის მთავრობის ოფიციოზიდან წერილი, რომელიც ეხებოდა ჰასკელის წინადადებას და რომელიც მით ძალიან უკმაყოფილო იყო. მოგვყავს ადერბეიჯანის მთავრობის ოფიციოზის აზრიც.

„აზერბეიჯანი" სექტემბრის 24 თარიღით სწერს:

„პოლკოვნიკ ჰასკელის წინადადება

დღეს

ავსტრია ფიქრობს სახელმწიფო გაკოტრებულად გამოაცხადოს და უმაღლესი ძალა-უფლება გადასცეს ქვეყანაში მოკავშირეთა მისიას.

ტიროლის პარლამენტმა ერთხმად მიიღო რეზოლიუცია საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგ.

შეერთებულ შტატებში და გერმანიის ზოგიერთ ნავთსადგურებში გაფიცვები გრძელდება.

ირლანდიაში პროფესიონალურ კავშირთა ყრილობის გარეკის გამო პროტესტის ნიშნად რკინის გზელებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს.

25 სექტემბერს მოსკოვში კომუნისტების კრებას დენიკინის აგენტებმა ყუმბარა ესროლეს: მოკლულ იქნა 9 კაცი, დაიჭრა 17.

წითელ ჯარს ტომსკი აუღია.

სომხეთის და აზერბეიჯანის შორის ერევნის გუბერნიის საზღვრებთან ნეიტრალური ზონის დაარსების შესახებ თანაგრძნობას ვერ პოულობს დაინტერესებულ რესპუბლიკათა ოფიციალურ წრეებში.

„სომხეთის მმართველი პარტია, რომლის ოცნებაა თავის სახელმწიფოს მაჰმადიანურ ოლქების ნანგრევებზე გაშენება, იმედებს ამყარებს ევროპიულ სახელმწიფოთა თანაგრძნობაზე. „დაშნაკცუტიუნს" არ აკმაყოფილებს შარურის, ნახიჩევანის და დარალაგეზის ნეიტრალიზაცია, თუმცა ეს კუთხეები, როგორც ეთნიური შემადგენლობით, ისე გეოგრაფიულ მდებარეობით აზერბეიჯანის უკეთეს ნაწილებს წარმოადგენს. მოსალოდნელი იყო, რომ სომხეთის მთავრობა, რომელსაც არავითარი უფლება არა აქვს ამ ოლქებზე, ხსენებულ ოლქების ნეიტრალიზაციას ჩასთვლიდა საუკეთესო გამოსავლად შექმნილ მდგომარეობიდან. სულ სხვაა აზერბეიჯანი. მას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიან დაკმაყოფილდეს ჰასკელის წინადადების მიღებით.

„როდესაც სომხური შეიარაღებული ბანდები თავს დაესხნენ მაჰმადიან რაიონებს იმ მიზნით, რომ ხსენებულ ტერიტორიაზე შეექმნათ ერთგვარი სომხური მოსახლეობა,—ნახიჩევანის, ორდუბადის და შარურის მაჰმადიანებმა იარაღით ხელში, საკუთარ ძალებით დაიცვეს თავიანთი ფიზიკური არსებობა და შექმნეს პოლიტიკურ ცხოვრების ისეთი პირობები, რომლებიც შეესაბამებიან სრულიად ბუნებრივს, ამ საკითხში, პოლიტიკურ ორიენტაციას. უტყუარი ფაქტებით მათ დაუმტკიცეს ინგლისის სარდლობას თავიანთ საქციელის სრული სიმართლე და ნათელ ჰყვეს ის ბოროტი განზრახვანი, რომლის განხორციელებასაც ცდილობდენ სომხის შოვინისტური ელემენტების შეიარაღებული ძალები.

„როდესაც, ინგლისის სარდლობის დაჟინებით, ზოგიერთ რაიონებში მაჰმადიანებმა [illegible] ლტოლვილ [illegible] — მათი მთავრობის წარმომადგენლები—ისინი ერთხელ კიდევ დარწმუნდენ იმაში, რომ ყოველივე გამოსვლა სომხურ შეიარაღებულ ბანდების მათ ტერიტორიაზე—მომასწავებელია ანარქიის და მით მხარის განადგურების.

„აზერბეიჯანის თურქებით დასახლებულ რაიონებს მშობლიურ სახელმწიფოს საზღვრებში ჰსურთ მოქცევა. ისინი უკვე განთავისუფლდენ სომეხ ერისაგან და ამ ჟამად აზერბეიჯანის განთავისუფლებულ ნაწილში უკვე შექმნილია საკუთარი წესი მართველობისა კანონიერ ოლქებით. ხსენებული კუთხე აზერბეიჯანის რესპუბლიკის ფაქტიურ ნაწილად ითვლება. აზერბეიჯანის თურქთა სისხლით და დოვლათით განთავისუფლდა ეს კუთხე და ამიტომ ყოველივე ნაბიჯი, რომელიც კი შეზღუდავს აზერბეიჯანის რესპუბლიკის კანონიერ უფლებას ამ ტერიტორიაზე იქნება აქტი უსამართლობის აზერბეიჯანის უფლებათა და ამ ტერიტორიაზე მოსახლე აზერბეიჯანის თურქთა მიმართ. ჩვენის აზრით, პოლკოვნიკ ჰასკელს არ ჰქონდა არავითარი საფუძველი აუცილებელ საჭიროებად ეღიარებინა იმ კუთხის ნეიტრალიზაცია, რომელიც დასახელებულია აზერბეიჯანის კანონთა მფარველობის ქვეშ მყოფ თურქებით.

„ამიტომ პოლკოვნიკ ჰასკელს თავის დროზე გადაჭრით ეცნობა, რომ როგორც ამ რაიონის მცხოვრებნი, ისე მთავრობის აზრით, ხსენებული ოლქი ეკუთვნის აზერბეიჯანის რესპუბლიკას, რის გამოც ხსენებულ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ ერთად ერთი გზით: ეს არის—ამ ოლქის ოფიციალური შეერთება აზერბეიჯანის რესპუბლიკასთან.

„პოლკოვნიკ ჰასკელის და ჩვენი მთავრობის თავმჯდომარის მოლაპარაკების დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით ჩვენის ტრადიციით: ყველა საკითხების მშვიდობიანის გზით გადაჭრის სურვილით.

„და ამ შემთხვევაში დავადექით დათმობის გზას. მოლაპარაკებით გადაწყდა, რომ ხსენებული ტერიტორია დარჩენილიყო აზერბეიჯანის რესპუბლიკის ნაწილად, ნეიტრალ მხრის წარმომადგენლის კონტროლის ქვეშ. ჩვენ ვთანხმდებოდით პოლკოვნიკ ჰასკელის [illegible] რის მიღებასაც და ვფიქრობდით, რომ მომავალ ხელშეკრულების პუნქტები დამყარებულნი იქნებოდნენ იმ ძირითად პრინციპებზე, რომელზედაც მოხდა შეთანხმება პოლკოვნიკ ჰასკელთან.

„პოლკოვნიკი ჰასკელი სრულიად იზიარებდა ჩვენს თვალსაზრისს, ვიდრე ბაქოში იმყოფებოდა, მაგრამ შემდეგ ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, პოლკოვნიკ ჰასკელმა შეიცვალა თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ. მან ბ. უსუბეკოვს წარმოუდგინა შეთანხმების ახალი პროექტი, ეს პროექტი მთავრობის თავმჯდომარემ კატეგორიულად უარჰყო და განაცხადა, რომ პოლკოვნიკ ჰასკელის მიერ არჩეული გზა ეწინააღმდეგება როგორც დასახელებულ ოლქის მცხოვრებთა რეალურ ინტერესებს, ისე აზერბეიჯანის კანონიერ უფლებებს".

უკანასკნელი ცნობები

როგორ მოეწყო აჯანყება დაღესტანში?

რამოდენიმე დღით წინ, სანამ მოხალისეთა ულტიმატუმს ვადა გაუვიდოდა, სოფელ ცუდახარში (დარგინის ოლქი) მოგროვდენ სათათბიროდ ყველა ოლქებიდან დელეგატები, რომლებიც ხალხის მიერ იყვნენ არჩეულნი. იმავე მამასახლისთა დახმარებით, რომლებიც გარეგნულად ისე აჩვენებდენ თავს, თითქოს ისინი მოხალისეთა მხარეზე ყოფილიყვნენ, ნამდვილად კი ხალხის მხარეზე აღმოჩნდენ, იქ, ამ ყრილობაზე გადასწყდა, რომ ვერც ერთ ცხენოსან და ვერც ერთ ქვეითა მეომარს ვერ მიიღებს მოხალისეთა ჯარი, დაღესტნისაგან. ყრილობის აზრით, პირველად ცუდახარელებს უნდა ეთქვათ მოხალისეთა ჯარისთვის უარი. ცუდახარელებმა სიხარულით განაცხადეს, რომ ისინი პირველნი აჯანყდებიან. ამ გადაწყვეტილებას შეუერთდა სოფლები კუპა და ხაჯალ-მახი, რომლებიც წინად პასიურ მონაწილეობას ღებულობდნენ რევოლიუციურ მოძრაობაში. მიუხედავად იმისა, რომ არ იყო იმ[illegible]ინტური ძალები და სამხედრო სპეციალისტები, გამომუშავებულ იქნა აჯანყების გეგმა, რომლის მიხედვით, მას შემდეგ რაც ჯარის მიცემაზე უარს ეტყოდნენ, ცუდახარელებს უნდა იარაღი აეყარათ ყაზახთა გარნიზონებისთვის სხვა სოფლებთა დახმარებით, დაეტუსაღებინათ მთავრობის წარმომადგენელნი, რომელთაც გაჰყიდეს სახალხო საქმე, და სხვა სოფლების ცხენოსანი მეომრების დახმარებით წასულიყვენ ლევაშისაკენ, რომ იქ დაემსხვრიათ ალი-ხაჯის და ხალხის სხვა ხელმძღვანელთა სატუსაღო. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ყრილობა დაიხურა, მაგრამ დელეგატები დარჩნენ ცუდახარში, რომ მეორე დღეს პირადათ დარწმუნებულიყვნენ, თუ როგორ შეასრულებდნენ ყრილობის დადგენილებებს ცუდახარელები. აჯანყების შემდეგი მსვლელობა უკვე იციან მკითხველებმა.

ვიქტორ ოქუჯავას მოხსენება

(დასასრული)

მთელი დამშეული რუსეთი შეესია უკრაინას. ბოლშევიკებს არ ჰქონდათ საშუალება პურის ნაცვლად მიეწოდებინათ გლეხებისათვის აუცილებელი საგნები, უმთავრესად პური, ამიტომ ბოლშევიკები იძულებული შეიქმნენ ფართედ ესარგებლათ რეკვიზიციით. ამ გარემოებამ დააჩქარა გლეხების აღელვება. 3 თვის შემდეგ ყველა მაზრებში გამოსვლები დაიწყო. სოფლებმა ქალაქებს ბლოკადა გაუკეთეს: ქალაქში სოფლიდან არაფერი შედიოდა.

პური, როგორც კიევში, ისე ოდესაში ძლიერ გაძვირდა. გირვანქა შავი პური 125 მანეთამდე ავიდა. ცხოვრება გაჭირდა—აუტანელი მდგომარეობა შეიქნა. ბოლშევიკებს თანდათან ჩამოშორდენ გლეხები, შემდეგ ბურჟუაზია, ინტელიგენცია და ბოლოს მუშებიც. ამ ხანებში ოდესაში დაიწყო მუშების გამოსვლები. პირველად მუშებმა მოითხოვეს ჯამაგირების მომატება, (ეძლევოდათ 2500 მან. თვეში). ბოლშევიკებმა თუმცა ჯამაგირები მოუმატეს, მაგრამ პურის გაიაფება არ მოხდა, პირიქით ცხოვრება უფრო გაძვირდა. მაშინ შეკრიდენ სხვადასხვა პარტიები, ჯგუფები და მოითხოვეს თავისუფალი ვაჭრობა. ბოლშევიკებმა გამოაცხადეს თავისუფალი ვაჭრობა, მაგრამ მიზანი მაინც მიუღწეველი დარჩა. თავისუფალი ვაჭრობის გამოცხადებამ მდგომარეობა ვერ გამოაკეთა. სოფელი ისევ განაგრძობდა ქალაქის ბლოკადას. ზღვიდან ბლოკადას აწარმოებდენ მოკავშირეთა გემები. ბოლშევიკური მთავრობის გავლენა თანდათან დაეკარგა. ყველასათვის აშკარა იყო ბოლშევიკების მთავრობის დაცემა.

ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ სულ უმნიშვნელო ჯგუფს შეეძლო ბოლშევიკების მთავრობის ჩამოგდება და ძალაუფლების ხელში აღება. ასეთი ჯგუფი გამოჩნდა.

კომუნისტებს ჰყავდათ მეტად არა საიმედო რაზმი კავკასიელებისა. მათგან [illegible] შედგა რაზმი [illegible]დაათი კაცისაგან შემდგარი) და გადაუდგა ბოლშევიკებს. ამ ავანტიურისტებმა აიღეს ქალაქი, მეორე დღეს შემოვიდენ მოხალისენი.

მოხალისეების შემოსვლას ოდესაში არავითარი ენტუზიაზმი არ გამოუწვევია. პირიქით, არავის არ სჯერა მათი სიმაგრე: ბურჟუაზიული წრეები ლიკვიდაციას უშვებიან საქმეებს და საზღვარ გარეთ აპირებენ წასვლას.

იმ ხანებში, როცა ეს ამბები ხდებოდა ოდესაში, პეტლიურა კიევისაკენ მიიწევდა. მან დაიკავა ჟმერინკა და კიევი მოსწყვიტა. კიევში პირველად შევიდა პეტლიურა, შემდეგ კი მოხალისენი. იქ მათ შორის გაიმართა ბრძოლა პეტლიურამ მოკავშირეთა წინადადებით უკან დაიხია და კიევიდან 20 ვერსის მანძილზე გაჩერდა.

ამავე დროს რუმინელებმა გადალახეს საზღვრები და დაიკავეს რუსეთის [illegible] სეთის საწინააღმდეგო აგიტაციას სწარმოებს.

არ შეიძლება გაკვრით მაინც არ აღვნიშნო ატამან გრიგორიევის და მახნოს მოქმედება. მახნო—ეს ტიპიური ანარქისტია. გრიგორიევი კი ავანტიურის მოყვარულია. მას სწყურია ომი და სულ ერთია თუ ვისთან და ვის წინააღმდეგ იბრძოლებს, ოღონდ კი იბრძოლოს. გრიგორიევი ხან ერთი ძალის მხარეზეა, ხან მეორისა. ამ ჟამად მას ყავს რაზმი და იბრძვის მოხალისეთა წინააღმდეგ.

ჩვენი დამოკიდებულება ბოლშევიკებთან ლოიალური იყო. ეს აიხსნება შემდეგი მდგომარეობით. პირველი: ვლადიკავკაზიდან გამოქცეული ბოლშევიკების მიღებამ საქართველოს მთავრობის მიერ უკრაინის ბოლშევიკებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; მაშინ ისინი სწერდენ და ლაპარაკობდენ: „რევოლიუციონური საქართველო კონტრევოლიუციონური დენიკინის წინააღმდეგი იარსო." მეორე—უკრაინა არ არის მოსკოვი. უკრაინაში არეულია ბუნდი, სოც. რევოლ. და უკრაინელები, მათ შორის დამოკიდებულება კარგი იყო და ჩვენც კარგათ გვეპყრობოდნენ. მესამე—ბოლშევიკებმა შექმნეს ისეთი თეორია, რომლის მიხედვით კავშირი უნდა დაეჭირათ „სერედნიაკებთან". ვინ იყო სერედნიაკები? ყაზახები, ესტონელები. როგორც არის საშუალო გლეხები, ისე არის საშუალო ერები, არა იმპერიალისტური, რომელთაც სიმპატიით უნდა მოეპყრათ—ქართველები და სხ. ამ თეორიას ცხოვრებაში ატარებდა მთავრობის თავმჯდომარე რაკოვსკი. მან იცოდა, რომ საქართველოში იყო დემოკრატიული წყობილება და ამიტომ მათი თეორიის მიხედვით საჭირო იყო აგრეთვე ჩვენთანაც კავშირი თუ არა, კარგი განწყობილება მაინც. შემდეგ კიდევ ერთი პირობა უწყობდა ხელს ბოლშევიკების ჩვენდამი განწყობილებას: კავკასიის საქმეები ებარა ყოფილ მენშევიკს—მაიზელს. მაიზელი დიდი პატივისმცემელი იყო ქართველების.

[illegible] ჩვენი საკონსულოს ორიოდე სიტყვა [illegible] (ადესაში) მოღვაწეობის შესახებ.

ბოლშევიკების შემოსვლისას, ადესაში მოხდა ყველა კონსულების კრება. თავმჯდომარეთ არჩეული იქნა საქართველოს კონსული ი. ჟუშვერიძე. ის წარმოადგენდა 4 სახელმწიფოს, სხვათა შორის ინგლისს და საფრანგეთსაც. როდესაც იქიდან ინგლისელების და ფრანგების ჯარები წავიდენ, მათი ქვეშევრდომების უფლებების დაცვა მიანდვეს ჟუშვერიძეს და გადასცეს ბეჭედი და ყოველგვარი მასალა, რაც საჭირო იყო.

ადესის საკონსულოს მეტად დიდი დახმარება მიუცია ყველა უცხოელებისათვის, რისთვისაც დიდი მადლობის წერილი მიიღო თითქმის ყველა სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან. ადესის საკონსულო მეტად პოპულიარული გახდა და დიდი გავლენაც ქონდა—სანამ ადესაში არ შემოვიდა დენიკინის ჯარი, [illegible] რილი, რომ იმ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქმნა დენიკინის სარდლობას და საქართველოს მთავრობას შორის, არ ვსცნობთ შესაძლებლათ საქართველოს კონსული ყავდეს ოდესაში. ამას მოჰყვა ჩვენი საკონსულოს გაუქმება ადესაში.

უკრაინის მდგომარეობა [illegible] ძლიერ ცუდათ არიან განწყობილნი. ამ ჟამად უკრაინაში მეტად ნაციონალისტური მოძრაობაა. ეს ბოლშევიკების მოქმედების ნაყოფათ უნდა ჩაითვალოს. უკრაინაში დიდი მოძრაობაა მოხალისეთა წინააღმდეგ.

დენიკინი უკრაინაში ვერ იხეირებს, მას აუარებელი მოწინააღმდეგე რაზმები გაუჩნდა უკრაინაში: მახნო და გრიგორიევი ახლაც მოქმედობენ მოხალისეთა წინააღმდეგ. ჩემის აზრით, უკრაინაში დენიკინი აუცილებლათ დამარცხდება.

მომხსენებელმა შეკითხვებზე შემდეგი უპასუხა:

პეტლიურას მოძრაობა მიმართულია, როგორც დენიკინის, ისე ლენინის წინააღმდეგაც.

უკრაინული მოძრაობა ეყრდნობა გლეხებს და დაბალ ინტელიგენციას. ქალაქებმა უკრაინაში ყოველგვარი მნიშვნელობა დაჰკარგეს, ისინი ინერტიულია.

უკრაინაში ბოლშევიკ. დაამარცხა არა დენიკინმა, არამედ უკრაინელებმა. მოხალისეთა მდგომარეობა რუსეთის ფრონტზე გვარიანია, შიგნით კი ცუდია. ზოგიერთ ალაგას აჯანყებებია და ბოლშევიკური მოძრაობა იწყება. მაგ, ნოვოროსიაში ბოლშევიკური მოძრაობაა.

წარმოება მთელს უკრაინაში განადგურებულია, ელექტრონი არ მუშაობს, ტრამვაი ძალიან ცუდათ მოძრაობს.

რკინის გზებზე მიმოსვლა გაძნელებულია: კიევიდან ადესამდე 10—20 დღე უნდება მგზავრი.

შეცდომის გასწორება. გუშინდელ №-ში შემდეგი მთავარი კორექტურული შეცდომებია: სწერია: გეტმანის მთავრობა უმთავრესად ეყრდნობოდა 900 ათასიან გერმანელ ჯარს, უნდა იყოს 300 ათასიან და სხვა... სწერია: გერმანიის მთავრობა ამზადებდა ნიადაგს რუსეთის რევოლიუციისათვის, უნდა იყოს: რუსეთის რესტავრაციისათვის. ატამანი ზელინი, უნდა იყოს ზელიონი და ს

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

27 სექტემბერი.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი, ენკენ. 26. ხუთშაბათს 25 ენკენ. მოსკოვის საპასუხისმგებლო კომუნისტების კრებაზე დენიკინის აგენტებმა ყუმბარა ისროლეს. აფეთქების მსხვერპლი შეიქნენ: ზაგორსკი ანა ნიკოლაევა, რაზრევნოვი, ტანკუსი, კოლბინა, კროპოტოვი, კვაში, იგნატევა და ტიტოვი. დაიჭრა 17 ამხანაგი, ამათში მძიმედ დაჭრილია საფონი. დაჭრილებს პირვე[illegible] საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რომელიც კამენევის მეთაურობით მთელი შემადგენლობით აფეთქების ადგილზე გამოცხადდა. ამ ვერაგულ მოქმედების გამომაძიებლად დაინიშნა საგამოძ-

გერმანიის რევოლიუცია და წარმოების განსაზოგადოებრიობა

(წერილები გერმანიიდან)

წარმოების რომელი შტოებია განსაზოგადოებრიობისთვის მზათ და ხად როგორ უნდა მოხდეს იგი.

მიზანი სოციალისტებისა, ცხადია, მთელი წარმოების განსაზოგადოებრიობაა. მაგრამ ერთბაშად, ერთის დაკვრით ამის მოხდენა ყოვლად შეუძლებელია. ამისთვის ჯერჯერობით სოციალიზმისთვის უფრო მომზადებულ წარმოების შტოებს უნდა შერჩევა. ჩვენ ამ თავში ჩამოვთვლით წარმოების იმ შტოებს, სადაც განსაზოგადოებრიობის მოხდენა ეხლავე შესაძლებელია; შემდეგ იმ ზომებს, რომელიც საჭიროა, ჯერ მოუმწიფებელ წარმოების მოსამზადებლათ; დაბოლოს გავარჩევთ საკითხს, თუ როგორ უნდა გატარდეს სოციალიზმი ერთის მხრით ინდუსტრიაში და მეორეს მხრით სოფლის მეურნეობაში.

წარმოების შტოების შერჩევის დროს, ორი თვალსაზრისია საყურადღებო: ერთი საერთაშორისო მდგომარეობისა და მეორე ტეხნიკური, თვით წარმოების ხასიათისა.

1. სოციალური რევოლიუციის დასაწყისი ჯერ მხოლოდ გერმანიაში არის (რუსეთს თუ ამ ჟამად სახეში არ მივიღებთ) რეალური ფაქტი. ამის შემდეგ გერმანიამ დანარჩენ ქვეყანასთან ძველებურად ვაჭრობა უნდა გააჩაღოს, რათა სურსათი და წარმოებისათვის საჭირო ნედლი მასალა მიიღოს. ამიტომ გასატან პროდუქტთა წარმოების ზოგ შტოების განსაზოგადოებრიობა მეტად სახიფათოა და მეორე რიგში ჩასაყენებელი. ამავე მოსაზრებით ჯერ-ჯერობით სახიფათო და მეტად ძნელია სხვადასხვა ნაწარმოებთა საგარეო ვაჭრობის საზოგადოების ხელში გადატანა.

2. მეორე, ტეხნიკურ თვალსაზრისით ნაწარმოების ყოველი შტო სოციალიზმისათვის სიმწიფის მხრით უნდა განიზომოს. მწიფე კი ნაწარმოების შტო მაშინ არის, თუ შემდეგ სამს პირობას აკმაყოფილებს: ა) თუ მის ნაწარმოებს საზოგადო ხასიათი აქვს და მისი ბაზარიც ამის გამო მტკიცე არის; ბ) თუ თვით კაპიტალისტურ წარმოების დროს მისი საკმაო კონცენტრაცია, შეკავშირება და თავმოყრა მოხდა, ისე რომ მისი განსაზოგადოებისათვის აღარაფერია თითქმის საჭირო, გარდა მესაკუთრეთა გამოცვლისა. ეს პირობა უმთავრესია. ასეთ წარმოების განსაზოგადოებრიობა მით უფრო ადვილია, რომ ფუნქცია მესაკუთრისა და წარმოების მმართველისა აშკარად გაყოფილია, როგორც მაგ. სააქციო საზოგადოებაში ასე რომ, ამ მესაკუთრის ჩამოშორება ტეხნიკურადაც არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს; გ) მესამე თვისება მომწიფებისა არის თვით ამ შტოს როლი მთელ წარმოებაში, იმის და მიხედვით, თუ რა ნივთებს აწარმოებს იგი.

ყველა ეს პირობები წარმოების სოციალიზმისათვის მომწიფებისა უფრო ნათელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გავრცელებული შეხედულება, თითქოს განსაზოგადოებრიობა ცალკე ქარხნებით უნდა დაიწყოს, სრულიად არ შეეფერება სინამდვილის მოთხოვნილებას. სოციალიზმის განხორციელება წარმოების მთელი შტოების განსაზოგადოებრიობით ხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია მათი საზოგადოებრივი ორგანიზაცია და ხანგრძლივი შენარჩუნება. ამას უფრო დაწვრილებით შემდეგ შევეხებით.

წარმოების რომელი შტოებია მზათ ამ თვალსაზრისით განსაზოგადოებრიობისთვის?

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პირობებს საუკეთესოთ სამთა-მადნო წარმოება აკმაყოფილებს. ქვა-ნახშირის, რკინის წარმოება, აგრეთვე რკინის გადამუშავების პირველი საფეხურები და სხვა ნაწილები სამთა-მადნო წარმოებისა, როგორც მაგალ. კალის და სხვ., ერთი საუკეთესო ნიადაგია განსაზოგადოებრიობის დასაწყებათ. ის ფაქტი, რომ მათ ერთგვარი მონოპოლიის ხასიათი აქვთ (კერძო საკუთრება მადნებზე), კიდევ უფრო საჭიროთ ხდის, როგორც პოლიტიკურ, ისე ტეხნიკურ მოსაზრებით, მათი განსაზოგადოებრიობის პირველ რიგში დაყენებას. ეს არგუმენტები ისე ძლიერია, რომ თვით ბურჟუაზიულ წრეებშიაც ჯერ კიდევ რევოლიუციამდე არსებობდა აზრი მათი სახელმწიფოსათვის, თუმცა სხვა სახით, გადაცემის შესახებ. ამისთვის შეეხებოდა განსაზოგადოებრიობის კომისიის მთავრობისადმი მიმართული პირველი უწყება ქვა-ნახშირის წარმოების განსაზოგადოებრიობას. წარმოების ამ შტოებს, ისე როგორც საჭიროა, მტკიცე ბაზარი აქვს, კაპიტალისტურ წარმოების უმაღლეს ფორმებში გადასულია, (კარტელი, სინდიკატი) და უდიდეს როლს თამაშობს გერმანიის წარმოებაში.

ეს როლი იმდენათ დიდი და მნიშვნელოვანია, რომ მარტო მათი განსაზოგადოებრიობა მკვიდრ ნიადაგზე დააყენებდა, გერმანიაში სოციალიზმის განხორციელების საქმეს. ეს წარმოება აწვდის დანარჩენ მრეწველობას—უმთავრეს მასალას, ასე რომ მათ საფუძველს წარმოადგენს. მათი განსაზოგადოებრიობის შემდეგ მთელი დანარჩენი წარმოება სოციალისტურისგან იქნებოდა დამოკიდებული. ეს კი აადვილებს სოციალიზმის განხორციელების საქმეს.

„ვინც გერმანიის კაპიტალიზმის სტრუქტურას იცნობს, ამბობს ჰილფერდინგი ერთს თავის მოხსენებაში განსაზოგადოებრიობის შესახებ, იცის, რომ სწორეთ წარმოების ამ შტოებზე ბატონობა აძლევს გერმანიის მთელ კაპიტალისტურ წარმოებას ასეთ ძლიერებას". თუ მას განვსაზოგადოებრიობთ ეს „გერმანიის კაპიტალიზმის უდიდესი პოზიციის დაპყრობა იქნება".

ეს ნაბიჯი კიდევ მეტს ნიშნავს. გერმანიაში საწარმოო და ფინანსიური კაპიტალი მჭიდროთ არის დაკავშირებული. წარმოების ამ უდიდეს შტოების განსაზოგადოებრიობა კი ნიშნავს ბანკების ე. ი. საფინანსო კაპიტალის ძლიერათ შერყევას და მათი განსაზოგადოებრიობისთვის ნიადაგის მომზადებას.

ასე დიდია ამ წარმოების როლი და მისი სოციალისტურათ მოწყობა კი შედარებით ადვილი.

⁂

საჭიროა აქვე სოციალიზმის განხორციელების ერთ უდიდეს საკითხს ბანკების განსაზოგადოებრიობას უფრო ვრცლად შევეხოთ. საფინანსო კაპიტალმა ბოლო დროს, საზოგადოთ და უფრო კი გერმანიაში, დიდი ძალა მოიპოვა. გერმანიის წარმოების მთელი ძაფები ბანკებში იყრიდნენ თავს. ამისთვის, ცხადია, დაიბადა აზრი განსაზოგადოებრიობა ბანკებით დაეწყოთ, რადგან ბანკების განსაზოგადოებრიობა მთელ წარმოების ფაქტიურად ხელში ჩაგდებას ნიშნავს.

ასე ჰქნეს ბოლშევიკებმა რუსეთში, როცა ბანკების ნაციონალიზაცია გამოაცხადეს, პირველ ყოვლისა. მათი აზრით, ისინი ჰილფერდინგის მიერ „ფინანსიურ კაპიტალში" ნაჩვენებ გზას მისდევდენ. მაგრამ იმავე ჰილფერდინგმა კრიტიკის ბრძმედში გაატარა ისინი.

საქმე იმაშია, რომ ჯერ ერთი ომმა ბანკების ფუნქცია საგრძნობლათ შეცვალა. ბანკები ომის დროს სახელმწიფო კრედიტის უმთავრეს იარაღათ გადაიქცენ. ასე რომ აქტივის უმთავრესი ნაწილი სახელმწიფოსადმი მოთხოვნილებებისაგან შესდგება. ამისთვის ეხლა ბანკებით სოციალიზმის განხორციელების დაწყება სულ სხვა შედეგებს მოიტანს, ვიდრე ეს ომის წინ იქნებოდა. გარდა ამისა ბანკების მთელი საქმეები ამ ჟამათ აწეწილ-დაწეწილი და არა ნორმალურ მდგომარეობაშია. წარმოების ფეხზე წამოყენებისათვის კი საჭიროა კრედიტი, მით უმეტეს რომ მთელი წარმოების განსაზოგადოებრიობა, როგორც ვსთქვით, ერთის დაკვრით შეუძლებელია. ამიტომ ამბობს ოტტო ბაუერი: „ამნაირათ ჩვენი წარმოების განსაზოგადოებრიობა არ შეგვიძლია ბანკებით დავიწყოთ. ჯერ ჯერობით ჩვენ შეძლებას მივცემთ ბანკებს თავისი ომის საქმის ლიკვიდაცია მოახდინონ, შეძლებას მივცემთ აგრეთვე ნორმალური, ზავის პირობების შესაფერი მდგომარეობა აღადგინონ და განავითარონ, სანამ მათ განსაზოგადოებრიობას შევუდგებოდეთ". ჰილფერდინგიც ამ აზრის არის, მხოლოთ ის წინადადებას იძლევა ზოგი მხარეები ბანკის საქმეებისა, როგორც მაგ. დაზღვევისა და ჰიპოტეკების საქმე ნელ ნელა ეხლავე განსაზოგადოებრივებულ იქნას.

ყოველ შემთხვევაში ბანკების განსაზოგადოებრიობა, რა დროსაც კი მოხდება ის, დიად როლს ითამაშებს სოციალიზმის განხორციელების საქმეში. მთელ ბანკების ერთს ცენტრალურ ბანკში თავის მოყრა, ამნაირათ მათ შორის კონკურენციის მოსპობა—შეძლებას მისცემს საზოგადოებას მთელ წარმოებას დაეპატრონოს და შემდეგ თვით ბანკების საშუალებით განაგრძოს დარჩენილ წარმოებათა განსაზოგადოებრიობა. ამასთან ბანკების განსაზოგადოებრიობა შედარებით ადვილი საქმეა, რადგან საკმაოა საზოგადოებამ ეხლანდელი გამგეობების დანიშვნის უფლება მიითვისოს, სხვა ექსპროპრიაცია აქ საჭირო აღარ იქნება, უკვე ამით შეიძლება მათზე სრული ბატონობის მოპოვება.

⁂

ასე რომ განსაზოგადოებრიობა თვით წარმოებით და არა ბანკებით უნდა იქნეს დაწყებული. უმთავრესი შტოები ამ აქტისთვის მზათ მყოფ წარმოებისა, ჩვენ უკვე დავასახელეთ. რომელი შტოებია კიდევ მომწიფებული? სად უნდა მოხდეს ეხლავე ამათ გარდა განსაზოგადოებრიობა?

გარდა წარმოების ზემოთ ჩამოთვლილ შტოებისა, რომელთა მმართველობაში მთელი სახელმწიფო, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მთელი მისი მცხოვრებნი იქნებიან დაინტერესებულნი, შეიძლება ეხლავე სხვა, ქალაქის თვითმართველობისათვის, კომუნებისათვის გადასაცემ წარმოებათა სოციალისტურათ მოწყობა, როგორც მაგ. ტრამვაი, ელექტრონის სადგურები, პურის საცხობები და სხვ. ერთ დიდს პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე ქალაქის თვითმართველობის მიერ საშოსახლო მი[illegible] და ბინების განსაზოგადოებრიობა. ამას გარდა მთელი რიგი წარმოებებისა, [illegible] მელნიც სოფლის მეურნეობას [illegible] რებიან, შეიძლება სასოფლო-სა[illegible] ამხანაგობებს გადაეცეთ.

აი მთელი რიგი წარმოებებისა, რომელთაც შეიძლება ეხლავე მოჰკიდოს სახელმწიფომ ხელი. ყველა ეს მაგალითები „მატერიალურ წარმოებიდან" იყო ამოღებული, მაგრამ სოციალისტური რევოლიუცია მარტო „მატერიალურ წარმოებას" კი არა, არამედ „სულიერ წარმოების" სფეროსაც გასწვდება. კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება; მეურნეობის ახალი ფორმები იქმნება. და რასაკვირველია ახალ ეკონომიურ სტრუქტურას თავისებური იდეოლოგია და სულიერ შემოქმედების ყოველგვარ სფეროში თავისებური ორგანიზაცია სჭირია. დიდი ხანია წარმოების კრიზისთან ერთად, ძველ ქვეყანას ხელოვნებისა და მათ ქურუმთა მდგომარეობის კრიზისიც აწუხებს. და აი ქვეყნის სულიერ განახლების გზაზე პირველ რიგში თეატრების, მუზეუმების, პრესის სოციალიზაცია და სკოლის რადიკალური შეცვლა სდგას. თავისთავად ყველა ეს საკითხები დიდ ინტერესს წარმოადგენს. მაგრამ ამ დარგის „წარმოებას" სხვა კანონები აქვს და სხვა გზების გაკაფვა არის საჭირო მის განსაახლებლათ, რომელთა აღნიშვნა ჩვენ თემას დაგვაშორებდა.

ბ. რამიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ძიებლო კომისია, რომელშიაც ს. რ. ც. ა. კომიტეტის წევრები და მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმი შედის.—ამ მხეცურმა მოქმედებამ დიდი მღელვარება და აღშფოთება გამოიწვია მთელი მოსკოვის მუშებში. მუშაობის დროს მოხდა კრებები და ისმოდა მოწოდება მოკლულ ამხანაგების სისხლის აღებად. ჩვეულებრივ საღამოს სხდომაზე გამოიტანეს რეზოლუცია, სადაც ნათქვამია, რომ თეთრგვარდიელები ისწრაფიან აღადგინონ მემამულეების და კაპიტალისტების ძალა-უფლება. თავის მიზნის მისაღწევად და მუშათა და გლეხთა საქმის დასაღუპად ისინი არავითარ ცუდ საშუალებას არ ერიდებიან. ამ საუკეთესო მომუშავეების წინააღმდეგ ასეთი მოქმედება უჩვენებს ყველა მუშებს, თუ რა მოაქვთ მათთვის თეთრგვარდიელებს, რომელსაც ეხმარებიან მოღალატეები, რომელთა შორის ყოფილი სოციალისტ გამყიდველები მუშაობენ, მოსკოვის მუშები მოღალატეებისაგან დახოცილ გვამებზე აცხადებენ, რომ ვინც ეხლა არ დადგება ჩვენთან ერთად მუშების და გლეხების დასაცავად, ის მტერია მუშათა კლასის, მოღალატეა და მეფის გენერლების მომხრეა.

მოსკოვი ენკენ. 26. სამხედრო ცნობებიდან. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა მორჟევორსკაია დაიჭირეს. მურმანის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. კიევის დასავლეთით 18 ვერსზე ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. რილისკოვის და კურსკის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება ვორონეჟის რაიონში კოროტოიანთან მტერი დონის სამხრეთით გადევნეთ. ჩვენი ჯარი ამჟამად სამხრეთ-დასავლეთით ოლენიჩევთან უტევს. ურალსკის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით შდ. ურალისკენ დავიხიეთ. კრასნოვოდსკის მიმართულებით მტრის როტა ტყვედ წამოვიყვანეთ. პეტროპავლოვსკის რკინის გზაზე ჩვენმა ჯარმა სად. ვარგაშინსკენ დაიხია. იშიმის რკ. გზის ხაზზე ჩვენი შეტევა გრძელდება. მოსკოვის კომუნისტების საქალაქო კონფერენციაზე ტროცკიმ სთქვა: ციმბირში ამ ჟამად რევოლუციონურმა მოძრაობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, უკანასკნელი ცნობები წითელი ჯარის მიერ ტომსკის აღების შესახებ მართალია. განსაკუთრებით უზრუნველყოფილია ჩვენი მდგომარეობა ჩრდილოეთის [illegible] ინგლისის ჯარის არხანგელსკიდან და ბაქოდან გაყვანით. იუდენიჩის და ბროძიანკოს ჩრდილოეთ დასავლეთის თეთრგვარდიელთა ჯარი არავითარ საშიშროებას უკვე აღარ წარმოადგენს, იშლება თეთრგვარდიელთა ჯარი ბალტიის მხარეშიც. ჰომელ ბობრუის, კიევის მიმართულებით ჩვენ წინ მივიწევთ. სამხრეთის ფრონტზე ვორონეჟიდან ცარიცინამდე ნახევრად უკან ვიხევთ ჯერ-ჯერობით, [illegible] ცარიცინამდე [illegible].

სამხრეთის ფრონტის მდგომარეობა ყოველ გვარ იმედს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დონზე, ყუბანში, უკრაინაში და ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინის კონტრ-რევოლუციას ბოლოს მოუღებთ. ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. ინგლისმა კოლჩაკის იმედი დაკარგა და იუდენიჩზეც იმედებს ველარ ამყარებს. ლოიდ ჯორჯმა უკვე გამოუშვა ხმები რუსეთის მიმართ პოლიტიკის შეცვლის შესახებ. ინგლისის მუშების რევოლუციონური გამოსვლები უკვე საკმარისად ამაგრებს ინგლისის იმპერიალისტებს... (შემდეგ გამოტოვებულია).

მოსკოვი. სექ. 26. გერმანიის ჩრდილოეთის ნავთსადგურებში გაფიცვები გრძელდება. ალტონის ნავთსადგურში მუშაობა შესწყვიტეს.

შეერთებულ შტატებში დიდი გაფიცვები და კლასობრივი ბრძოლა გრძელდება.

ესტლანდიაში პროფესიონალურ კავშირთა ყრილობის გარეკის გამო პროტესტის ნიშნად რკინის გზელებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს, ესტონიის ერთ პოლკში აჯანყება მოხდა.

სექტემბრის 28 იურიევში მოხდა ლატვიის, ლიტვის და ესტლანდიის პრემიერ მინისტრების და საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი საზავო წინადადების საკითხის გასარჩევად.

გერმანული რადიო იუწყება, რომ კიევში ისეთი სიმხეცე ხდება, როგორიც უკრაინას ჯერ არ უნახავს. დენიკინელები დაედევნენ არამც თუ მარტო კომუნისტებს, არამედ აგრეთვე საბჭოთა მუშაკებს და გეტმანის წინააღმდეგ აჯანყებულებსაც. უკრაინელ მუშებს მკაცრად სდევნიან. უკრაინული ინტელიგენცია მრავლად სტოვებს კიევს. ახლო მახლო სოფლები სავსეა ლტოლვილებით.

ლონდონი. ენკ. 26. გაზ. „პტი-პარიზიენ“-მა ვენიდან ცნობა მიიღო, რომ ავსტრია ფიქრობს სახელმწიფო გაკოტრებულად გამოაცხადოს და უმაღლესი ძალა უფლება გადასცეს ვენაში მოკავშირეთა მისიას, რის მიზეზიც არის ავსტრიის ეხლანდელი საშინელი კატასტროფიული მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია სურსათის და ქვა-ნახშირის უკიდურეს სიმცირით.

ბელოოსტროვი. ენკ. 24. 23 ენკენისთვეს გაზ. „ტრიბუნა“ გადმოგვცემს ცნობას იმის შესახებ, რომ გაზ. „დეილი-ნიუს“-მა გამოაქვეყნა ვაშინგტონის კორესპონდენტისაგან მოსული ცნობა: ვილიამ ბულიტმა, რომელიც მოსკოვში იყო გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება ამერიკის სენატის საგარეო საქმეთა კომისიის გამოსვლის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ლოიდ ჯორჯმა 16 იანვარს თავის სიტყვაში მოკავშირეთა საბჭოს 10 წევრის თანდასწრებით, ბოლშევიკებთან იარაღით ბრძოლის უშნო და უგუნურება და დაუმატა, რომ ეს ცდა აძლევს შეძლებას კოლჩაკს მოაგროვოს თავის გარშემო რუსეთის ძველი მართვა გამგეობის თანაგრძნობანი.

ლოიდ ჯორჯმა შეიძლო მიემხრო უმაღლესი საბჭო თავის პროექტის განსახორციელებლად, რათა რუსეთის მთავრობების კონფერენცია მოეწვია, მაგრამ საფრანგეთმა ამ გეგმას ხელი შეუშალა და ბოლშევიკურ მთავრობის მოწინააღმდეგეთ პირდაპირ განუცხადა, რომ ის მხარს უჭერს ამ კონფერენციაზე დაუსწრებლობის სურვილს. ამის შემდეგ ამერიკის მთავრობამ რუსეთში გაგზავნა ბულიტი. უკანასკნელი წასვლის წინ ეთათბირა ლოიდ ჯორჯის მდივანს, რომელმაც გააცნო მას თავისი დამოკიდებულება იმ პირობისადმი, რომელზედაც მოკავშირეებს შეეძლოთ ზავის შეკვრა საბჭოთა რუსეთთან. ლოიდ ჯორჯმა წინადადება მისცა ბულიტი ინგლისის კრეისერით გაეგზავნათ. ბულიტმა ჰელსინგფორსიდან დეპეშით აუწყა ლანსინგს თავისი მგზავრობის მიზანი. პარიზში დაბრუნების შემდეგ ბულიტი ლოიდ ჯორჯთან იყო საუზმეზე, სადაც იყვნენ აგრეთვე სმუტსი, სერ მორის ხანკი და ფილიპ კერლი. ბულიტმა წარადგინა საზავო პირობების ოფიციალური ტექსტი, ლოიდ ჯორჯმა სმუტსის ყურადღება მიაქცია ამ პროექტის მნიშვნელობაზე. იმავე დღეს ბულიტი ბალფურს შეხვდა. შემდეგ მას აცნობეს, რომ ბალფურიც მხარს უჭერს პროექტს. ერთი კვირის შემდეგ ლოიდ ჯორჯმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მან ვითომ ამის შესახებ არაფერი იცის.—„დეილი ნიუს“-ის კორესპონდენტი დასძენს, რომ ამერიკაში სრულის უნდობლობით შეხვდნენ ბულიტის ცნობებს და რომ ინგლისის მხრივ ყოველივე ცნობების უარყოფა მხოლოდ სცემს ინგლისის ღირსებას.

გერმანული პრესის ცნობები.

...გერმანული მუშები ვერ ღებულობენ იმდენს, რომ საყოფი სარჩო შეიძინონ. ისინი ვერა ბედავენ ახლო მახლო სოფლებში იყიდონ რამე, რადგან უკვე რამდენიმე შემთხვევა იყო, რომ პოლონელმა გლეხებმა გერმანელები მოკლეს. პოლონეთის ხალხის აღშფოთების მიზეზი არის ის პირობები, რო[illegible] ლონეთის შესახებ. გერმანელი მუშები ლოძიდან ბერლინში გამორბიან.

ბერლინში მყოფ იტალიის სამხედრო მისიის ოფიცერმა, რომელიც სექტ. 14 გაემგზავრა ზემო სილეზიიდან პოლონელების მიერ წაყვანილ გერმანელების აღმოსაჩენად, დიდი წვალების შემდეგ წაყვანილ გერმანელთა უმეტესობა აღმოაჩინა. მიღებულია საჭირო ზომები მათ დასაბრუნებლად. გერმანიის მთავრობამ მადლობა გამოუცხადა იტალიის სამხედრო მისიას.

ბერლინის რკინის ჩამომსხმელ ქარხნების გაფიცვა ისე არ გაძლიერებულა, როგორც მოელოდნენ. სოციალისტები თანდათან მეტ გავლენას პოულობენ მუშებზე და სცდილობენ წინააღმდეგობა გაუწიონ გაფიცვებს.

ტიროლის პარლამენტმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „საზავო ხელშეკრულება ეწინააღმდეგება ვილსონის პროგრამას და მოსპობას უქადის გერმანულ ტიროლს, რომელიც მიუხედავად მცხოვრებთა მიერ ნათლად გამოთქმულ სურვილისა, სამშობლოს უნდა ჩამოაცილონ“.

ახალი ამბები

გუშინ საღამოს ბაქოში გაემგზავრა ინგლისის პოლიტიკური მისიის მეთაური ოლივერ უორდროპი.

◆ **დამფ. კრების** ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაუგზავნა კატეგორიული მოთხოვნილება ყველა სამაზრო და საქალაქო საარჩევნო კომისიებს, 5 ოქტომბრამდე გაუსწორონ ანგარიშები.

◆ **ტფილისში** ჩამოვიდა ქართველ მაჰმადიანთა მეჯლისის თავმჯდომარე მამედ-ბეგ აბაშიძე და მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგა მოხსენებით.

◆ **ახალგაზრდათა საზღვარ-გარეთ გაგზავნა.** საუწყებათაშორისო კომისიის უკანასკნელი სხდომა გაიმართა 24 სექ., რომელზედაც არჩეულ იქნა საგანგებო კომისია, რომელსაც წინადადება მიეცა 10 დღის განმავლობაში საბოლოოდ გამოარკვიოს საზღვარ-გარეთ წამსვლელ ახალგაზრდათა საკითხი, თხოვნების საბოლოოთ განხილვა და გამოქვეყნება.

◆ **პირველ დაწყებითი** სკოლების ნაკლებობისა გამო, ქ. ტფილისში სკოლის გარეთ დარჩა 500 ქართველი, 500 სომეხი და რამოდენიმე რუსი მოწაფე.

◆ **კაპელა** ქართ. სამუსიკო საზ. და ამიერ-კავკ. კოოპ. კავშირისა, რომელიც გაგზავნილი იყო დასავლეთ საქართველოში და ფრონტზე საკონცერტოდ, უკვე დაბრუნდა ტფილისში. გამართულ იქნა სულ 21 კონცერტი და საზოგადოებაში დიდი აღტაცება გამოიწვია. ახლო მომავალში გამართება საჯარო მოხსენება. ხუთშაბათს, 2 ოქტომბერს, სახალხო თეატრში გამართულ იქნება კაპელას კონცერტი, ბ-ნ არაყიშვილის ლოტბარობით.

◆ **სანდრო მაისურაძის** სახელობის წიგნთსაცავ სამკითხველოს საზეიმო გახსნა მოხდება დღეს, დილის 11 საათზე (ელისაბედის და ნიკოლოზის ქ. კუთხე, ყოფილ „ბომონდის“ მასკარადის შენობაში). მოწვეულ არიან მთავრობის, დემოკრატიულ, პროფ. კავშირების და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენლები. შესვლა საზეიმო გახსნაზე საგანგებო ბარათებით.

◆ **ლექცია,** დღეს, საღამოს 6 საათზე (ჩუღურეთში) პირველ კომერციულ სასწავლებელში ამხ. ნოე რამიშვილი გააკეთებს საჯარო მოხსენებას მომენტზე.

◆ **ლექცია.** ორშაბათს, დილის 4 ს. მუშტაიდის დემოკრ. კლუბში პირველი და მეორე რაიონის მუშების შეერთებულ კრებაზე ამხ. ვ. თევზაია წაიკითხავს ლექციას უკრაინის მდგომარეობაზე.

◆ **ტეხნიკური ლექსიკონი.** იბეჭდება და მალე გამოვა საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების სატერმინო სექციის მიერ შემუშავებული ტეხნიკური ლექსიკონი.

◆ **ყაჩაღების შეპყრობა.** 26 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, სახალხო გვარდიელებმა არსენალის გორაზე დაატყვევეს ყაჩაღები ანდღულაძე და სალუქვაძე, რომლებიც ამას წინეთ კოჯრის გზაზე ავტომობილს დაეცნენ და შოფერი მოჰკლეს. ორივე საგუბერნიო ბათალიონის ყოფილი ჯარისკაცია.

◆ **გამრთობი საზოგადოება.** დღეს, საღამოს 8 საათზე ვერის მუშათა კლუბში, ოლღას ქუჩ. № 21, წარმოდგენილი იქნება სცენის მოყვარეთა მიერ „ბატონი და ყმა“, დრამა 3 მოქმედებათ და ერთ სურათიანი მინიატიურა „ფერშალთან“

◆ **ვ. რუხაძის ლექსები.** რედაქციამ მიიღო პოეტი ვ. რუხაძის ახლად დაბეჭდილი ლექსები „ცხოვრების ყვავილები“, წიგნი მესამე, გამოცემა კანტორა „განათლებისა“. წიგნში მოთავსებულია სულ 88 ლექსი; მათ შორის დრამატიული ნაწყვეტი „ნატვრის თვალი“, ლეგენდები და ზღაპრები. დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე, შეიცავს 144 გვერდს და ღირს 25 მან.

◆ **რედაქციამ მიიღო** „ანატომია და ფიზიოლოგია ჰიგიენით“ საშუალო სასწავლებლისათვის, [illegible] შედგენილი ექიმ ე. გ. ლოსაბერიძის მიერ. წიგნი კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი, შეიცავს 100 გვერდს და ღირს 15 მ.

◆ **საშუალო პოლიტეხნიკუმში.** ტფილისის საშუალო პოლიტეხნიკურ სასწავლებელში თხოვნილებები გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე თავისუფალი ვაკანსიებია, ამიტომ გამოცხადდა კონკურსი.

კრებები.

დღეს, 28 ენკენისთვეს, საღამოს 6 საათზე რუსულ კლუბის ყოფილ შენობაში (პლეხანოვის პროსპ. სახლი № 123), დანიშნულია ქართველ ლექტორთა, ლექტორობის მსურველთა და განყოფილებათა წარმომადგენელთა საერთო კრება.

— დღეს, დილის 11 საათზე I კომერციული სასწავლებლის შენობაში დანიშნულია საერთო კრება ამ სასწავლებელში ყველა კურს დამთავრებულთა.

— ორშაბათს, 29 სექტემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე შესდგება საგანგებო კრება ს. ს. დ. მ. პ. მე 7-ე კოლექტივის წევრებისა.

— კვირას, დილის 10 ს. შრომის ბირჟის ბინაზე (მადათოვის ქ. № 11) შესდგება პურის საქმეზე მომუშავეთა საერთო კრება.

პროვინციის ქრონიკა.

ოზურგეთში 26 სექტემბერს ვერაგულად მოჰკლეს სახალხო გვარდიელი ლონგინოზ ივანესძე რამიშვილი.

მთავრობაში

20 სექტემბრის სხდომა.

დაკმაყოფილებულ იქნას მოკავშირეთა უმაღლესი კომისარის შუამდგომლობა რესპუბლიკის ტერიტორიაზე სომხეთის მიერ შეძენილ ჯორების გატარების ნებართვის შესახებ.

— გერმანიის საეკონომიო კომისიის მიერ ჩამოტანილ საქონლის მიღება და განაწილება მიენდოს მომარაგების მთავარ სამმართველოს. საქონლის მიღების დროს დაესწრონ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელი, საქონლის გაყიდვიდან შემოსული ფული შეტანილ იქნას ხაზინაში იმ სესხის დასაფარავათ, რომელიც აიღო გერმანიის მისიამ მთავრობისაგან 1918 წ.

— მოწონებულ იქნას და დამფუძნებელ კრებას გადაეცეს კანონპროექტი მკვიდრთაგან მიტოვებულ სახაზინო—სანადელო მიწების სახელმწიფო ფონდში გადასვლისა.

— გადაიდოს მიწათ-მოქმედების მინისტრის განკარგულებაში 150000 მან. ყარაიაზის არხის სათავესთან მტკვრის ტოტის შესაკეთებლად. ეს თანხა გამოთხოვილ იქნას სათანადო დეკრეტით დამფუძ. კრებაში.

— საზღვაო სასანიტარო განყოფილების და რესპუბლიკის საზღვაო პერსონალის შტატები დამტკიცებულ იქნას.

— საერობო არჩევნები ახალციხის მაზრაში მოხდეს 26 ოქტომბერს.

—გაიგზავნოს შერეული კომისია ცხინვალსა და გომარეთში იმის გამოსარკვევათ, თუ სად უფრო მიზანშეწონილი და მოსახერხებელია საქონლის ჭირთან საბრძოლველ შრატის დამამზადებელ სადგურის მოსათავსებლად.

— რესპუბლიკის ყველა ციხეები გადავიდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში, სათანადო კრედიტების გადარიცხვით.

— [illegible] კომისია შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით, მიწადმოქმედების, სამხედრო, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის უწყებათა წარმომადგენლებისაგან. კომისიას დაევალოს გერმანიიდან დაბრუნებულ სამხედრო ტყვეების საერთო მდგომარეობის გამორკვევა და მათთვის რაიმე ადგილების აღმოჩენის და დახმარების საკითხის მოგვარება.

— ფოცხოვის რაიონში დროებით შემოღებულ იქნას სიტყვიერი სასამართლო.

— მოწონებულ იქნას პროექტი დეკრეტისა ფოთლოვან თამბაქოზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესებისა.

პატარა ქუჩის შვილი.

ქუჩა-ქუჩა დაცუნცულებს
პაწაწინა ქუჩის შვილი,
გულს უკლავს და ცრემლებს აჭვრის
თან სიტიტვლესთან სიშიმშილი.

აღარავინ გაიჩნია
მშიერელი და გულდამწველი;
უთვისოა და უდედმამოდ
დაწანწალებს ფეხ-შიშველი.

სამათხოვროდ გამოსულა,
გაუწვდია ნორჩი ხელი,
მაგრამ ზედაც არ უყურებს
შემვლელი და გამომვლელი.

ეჰ, საბრალოვ! ობოლ კვნესით
ამოგივა სული ობლად,
და მაშინ თუ მოგხედავენ,
ისიც მხოლოდ გასართობლად.

გ. ქუჩიშვილი.

შ ვ ი ლ ო!

ყველამ ნაპირს მიაღწია,
გადასცურდა ზღვაზე გემი;
მე შენ გამო გავარიყე,—
ბორკილი ხარ, შვილო, ჩემი!

შვილო, წინსვლა შემიფერხე,
ბორკილო და ჩემო ხუნდო!
გამომრიყა ცხოვრების ზღვამ,
[illegible], მკაცრი, უნდო!

შვილო, აგიტაცებ ხელში,
გარიყული დავრჩი შენით;
ჩავიხედავ ზღვის სარკეში:—
დედა შვილი როგორ ვშვენით!

ბაბილინა.

9 სექტემბერი.

სამუსლიმანო საქართველოს გარშემო

დენიკინელების მუშაობა.

დენიკინელების გაზეთ „ნაშ კრაი“-ს 204 ნომერში (18 სექტემბრის თარიღით), დაბეჭდილია „პროტოკოლები“, რომელიც ვითომდა მიღებულია ბათ. ოლქის სოფლებში (ჩამოთვლილია 20 სოფ.), მეჯლისის გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ამავე ნომერში მოთავსებულია მეთაური წერილი, სადაც დენიკინელების გაზეთი სიხარულს გამოსთქვამს და აღნიშნავს, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და მალე მთელი ბათუმის ოლქი უარყოფს საქართველოსო. „პროტოკოლები“ დანიშნულია დიდი სახელმწიფოების ამიერ-კავკასიაში მყოფ უმაღლეს წარმომადგენლებისთვის და პარიზის კონფერენციისთვის გადასაცემად. ამ პროვოკატორული მუშაობის გამო, გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ 188 ნომერში შემდეგი მეთაური წერილი დაბეჭდილი:

„დენიკინელთა აქაური ორგანო „ნაშ კრაი“ ვითომდა სიხარულით ფეხზე აღარა დგას. მისი სიხარულის საგანია ის „პროტოკოლები“, რომლებიც დენიკინელ ზონის უფროსების ნაცოდვილებია და რომლებსაც დიდის ამბით ბეჭდავს თავის ფურცლებზე დენიკინის გაზეთი, ვითარცა მუსულმან ქართველთა ნებასურვილის გამომხატველს.

ვისთვის არ არის ცხადი, თუ რანაირი მახინაციებით იხიზება ეს „პროტოკოლები“. ყველასთვის [illegible], რომ სოფლების მოწვევის შესახებ ბრძანებები ეცემა ზონის უფროსების მიერ, რომელნიც ჩვენში ყველგან დენიკინელების აგენტებია. ჩვენ ხელთა გვაქვს ერთი ასეთი ბრძანება, ბათუმის ზონის უფროსის, პოლკოვნიკ მალინოვსკის მიერ ხელმოწერილი.

„ახალ ქობის მამასახლისს; 17 ენკენისთვეს, ოთხშაბათს, მთავრობის განკარგულების თანახმად, ნაშუადღევის 3 საათ. ნახევარზე ვნიშნავ სოფლის ყრილობას, რომელსაც დაესწრება მთავრობა.

ბათუმის ნაწილის უფროსი
პოლკოვნიკი მალინოვსკი“.

აქედან ცხადია, რომ მთავრობის სახელით დენიკინური ადმინისტრაციის მოხელენი იწვევენ კრებებს. მთავრობათ კი ხალხი ინგლისის სარდლობას სთვლის და დენიკინის აგენტ ზონის უფროსის ბრძანებას მას ინგლისის სარდლობის ბრძანებათ მიაჩნია. ამნაირად დენიკინელი ვაჟბატონები ინგლისის სარდლობის სახელით თავის ბატონის პოლიტიკურ ზრახვებს ემსახურებიან ჩვენში.

კრებაზე მობრძანდება მთავრობა,— სწერს თავის ბრძანებაში ბ-ნი დენიკინელი ოფიცერი მალინოვსკი. და მართლაც, მთავრობის ამ კრებაზე უპირველესი როლს თამაშობენ ზონის უფროსები, ე. ი. იგივე დენიკინელი მოხელეები. ისინი აშინებენ ხალხს და მათთვის ხელსაყრელ რეზოლუციებზე აწერინებენ ხელს.

ქედის ზონის უფროსი მეხტერმაშევი, როცა ხალხი უარს ეუბნება მას დენიკინელთა შეთხზულ პროტესტზე ხელის მოწერაზე, სტრაჟნიკებს უბრძანებს, რომ არავინ გაუშვან, სანამ პროტესტს ხელს არ მოაწერენ და უცხადებს ხალხს, რომ ვინც არ მოაწერს ხელს პროტესტს, ის დაჯარიმებულ იქნება ხუთასი მანეთით. ვინც ბედავს და დენიკინელ მოხელეს უარს ეუბნება, მის მაგიერ მწერალს აწერინებენ ხელს.

აი, აქე იხსნება ის „პროტოკოლები“, რომლებსაც „ნაშ კრაი“ ხალხის ნება-სურვილის გამომხატველად ასაღებს. აი, ასეთ „პროტოკოლების“ გამო დიდის ამბით აცხადებს დენიკინის ორგანო:

„უნდა მივესალმოთ იმ ფაქტს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მცხოვრებლებმა გამოიჩინეს იმდენათ სალი შეგნება მდგომარეობისა და მოქალაქეობრივი გამბედაობა, რომ შეიძლება ითქვას, მეტად დიდმა უმრავლესობამ შესძლო წინააღმდეგ წასვლა იმ შეხედულებისა და მოთხოვნილებისა, რაც ხალხს თავზე მოახვიეს“.

ხალხის თავზე მოხვევას უწოდებს დენიკინის გაზეთი ბათუმის ოლქის მუსულმან ქართველთა წარმომადგენლების ყრილობის დადგენილებას. დენიკინური ადმინისტრაცია ყოველ ღონის ხმარობდა, რომ ჩვენი კრებებისთვის, რომლებზედაც ხალხი ყრილობის დელეგატებს ირჩევდენ, ხელი შეეშალა, რომ წარმომადგენლების არჩევა არ მომხდარიყო. მაგრამ ეს მან ვერ შესძლო. ახლა, როცა ყრილობამ გამოსთქვა ხალხის ნამდვილი ნება-სურვილი, ის ცდილობს რამენაირად ყრილობის დადგენილებას სახელი გაუტეხოს და ამ მიზნით ამოქმედა მან თავისი აგენტები, რომლებიც ძალათ აწერინებენ ზოგიერთებს ხელს საპროტესტო დენიკინურ რეზოლუციაზე.

ეს ნათლათ მტკიცდება ზემოთ მოყვანილ ფაქტებით. და ამის შემდეგ დენიკინის გაზეთი ბედავს განაცხადოს, რომ ხალხის დიდი უმეტესობა თითქო მისი „პროტოკოლების“ მომხრე იყოს.

რა ეწოდება ასეთ საქციელს?

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ დენიკინური ადმინისტრაცია ბათუმის ოლქში დენიკინის პოლიტიკას ემსახურება და ამისათვის ის ხშირათ ხალხზე ძალადობასაც კი ხმარობს. ადმინისტრაცია თავის პირდაპირ დანიშნულებას უნდა ემსახურებოდეს. მით უმეტეს აქ, ბათუმის ოლქში, რომელიც დიდი ბრიტანეთის ოკუპაციაშია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიდი ბრიტანეთის სარდლობას ადმინისტრაცია აქ იმისთვის არა ჰყავს, რომ მან დენიკინის ზრახვებს ემსახუროს.

ბოლოს უნდა მოეღოს დენიკინის აგენტ-ადმინისტრატორების ასეთს საქციელს. ჩვენ ჩვენს მოვალეობათ ვთვლით აღვნიშნოთ ეს და მივაქციოთ ამ გარემოებაზე ყურადღება იმათი, ვისაც ხელშია დროებით ჩვენი მხარის მართვა გამგეობის საქმე. მთელი ოლქის მცხოვრებთა ნორმალურ ცხოვრებისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ ადმინისტრაცია არ ერეოდეს პოლიტიკაში“.

უცხოეთი

საზავო კონფერენციის მუშაობის შეწყვეტა.

გაზეთი „ჩიკაგოს ტრიბუნა“ სწერს, რომ ბალფურმა განაცხადა სურვილი ახლო მომავალში დასასვენებლად წასვლისა. მეორეს მხრით, ვენიზელოსს სურს, რაც შეიძლება ჩქარა დაბრუნდეს საბერძნეთში. ამის გამო განზრახულია საზავო კონფერენციის მუშაობის შეწყვეტა, როგორც კი [illegible] ბულგარიასთან საზავო ხელშეკრულებას.

(„ტან“ 28 აგვისტო.)

[illegible]

გერმანი[illegible] ნილი 300 [illegible] ციას.

ვილსონის მუქარა ოსმალეთს.

ათინიდან მოუვიდათ ცნობა, რომ ვილსონი დაემუქრა ოსმალეთს, თავის 14 მუხლიდან მეორე მუხლი მოხმარებული იქნება ოსმალეთზე, თუ მან არ მიატოვა სომეხთა ჟლეტა. ეს მუხლი შეიცავს ოსმალეთის სუვერენიტეტს მხოლოდ ოსმალური ოლქებით შემოფარგვლას.

(„ტან“ 28 აგვისტო).

ჩერნოგორიელთა პროტესტი.

ჩერნოგორიის მთავრობამ პროტესტი გაუგზავნა საზავო კონფერენციას იმ სისასტიკისათვის, რომლითაც სერბიელები აწარმოებენ ჩერნოგორიელების წინააღმდეგ, იმ ჩერნოგორიელების, რომელნიც ერიდენ სერბიის მიერ ოკუპაციის საწინააღმდეგო გამოსვლებში. („ტან“ 28 აგვისტო).

ამერიკა და გერმანია-ბელგიის საზღვრები.

ვაშინგტონიდან გვატყობინებენ, რომ სენატის საგარეო საქმეების კომისიამ მიიღო საზავო ხელშეკრულების ახალი შესწორება, რომელიც უარყოფს შეერთებულ შტატების მონაწილეობას გერმანია-ბელგიის ახალი საზღვრების გამორკვევა—დამყარებაში.

სოციალისტების გამარჯვება ბულგარეთში.

დამფუძნებელ კრების არჩევნებში სოციალისტებმა სრულიად გაიმარჯვეს. ზომიერ სოციალისტებმა გაიყვანეს 124 დეპუტატი (წინეთ 59 ჰყავდათ), კომუნისტებმა—47 ნაცვლად 10-სა, სამხედრო პარტიამ, რომელსაც დღემდე თითქმის ყველა ადგილების ნახევარი ეჭირა, გაიყვანა მხოლოდ 1 დეპუტატი. უმთავრესი როლი პარლამენტში ზომიერ სოციალისტების ხელში იქნება.

ბრძოლა სპარტაკელების წინააღმდეგ.

გერმანიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ და ბერლინის მუშათა დეპუტატების საბჭომ მოიწონა რეპრესიული ზომები წინააღმდეგ დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატებისა, რომელნიც სპარტაკელებთან მოლაპარაკებას აწარმოებდენ.

იტალია და გერმანია

მილანი. იტალიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ დაადგინა დაუყონებლივ განაახლონ კავშირი გერმანიის პროფესიონალურ ორგანიზაციებთან.

დამფუძნებელი კრების წევრები სოფლად

[illegible]

ვიძლია ვსთქვათ, რომ მათი მუშაობა სოფლად არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მათი მუშაობა თვით დამფუძნებელ კრებაში. სოფელი საფუძველია ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისა. თუ სოფელი ჩვენთან იქნება, ჩვენი რესპუბლიკა და დამოუკიდებლობაც უზრუნველყოფილი იქნება. ამას კარგად გრძნობენ ჩვენი დამოუკიდებლობის მტრები და როცა აქ, ცენტრში, ასიოდე კაცი დამფუძნებელ კრების სახით ცდილობენ, რაც შეიძლება შესაფერი სახალხო კანონები შეიმუშაონ და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩააყენონ, სწორეთ ამ დროს, ჩვენი ქვეყნის მტრები ათასნაირად დაძრწიან სოფლად, აბაშენ ათასნაირ საპროვოკაციო ჭორებს. სოფლებს არა აქვთ საშუალება ყველა გამოცემულ კანონებს გაეცნენ. მასისთვის უცნობი ხდება დემოკრატიული კანონები და ეს გარემოება ხელს უწყობს ჭორების გავრცელებას. რას არ გაიგონებს ჩვენი ყური? და როცა [illegible] და უხსნით ხალხს ნამდვილ მდგომარეობას და არწმუნებთ, რომ ყველა ესენი გამოგონილია მტრებისაგან, კმაყოფილდებიან და ამბობენ, ჩვენ ასე ჩაგვასმინესო. დეპუტატების მოგზაურობამ და მოხსენებების კითხვამ გაფანტა ნახევრად მაინც პროვოკაცია და [illegible] ხალხს დამფუძნებელ კრების 5 თვის ნამუშევარი. განსაკუთრებით ისარგებლეს ბოლშევიკებმა და დენიკინის მოტრფიალეებმა, ერთდროულ სასანიტარო გადასახადის კანონის გამოცემით, ზოგიერთ ადგილას მღელვარებაც კი გამოიწვიეს. სოფლად მრავალ ფორმის დემოკრატიული რესპუბლიკის მტრები დაძრწიან თავისუფლად და სწამლავენ ატმოსფეროს. დაუღალავი მუშაობაა საჭირო მტრების ფეხქვეშ ნიადაგის გამოსაცლელად. ჩემის აზრით, დამფუძნებელმა კრებამ უნდა გამოყოს თავის წრიდან სოფლად მუდმივი მოსიარულე ჯგუფი, რომელიც ყველა გამოცემულ კანონებს გააცნობს მასას. აგრეთვე საჭიროა ყველა დეპუტატმა, რომელი მაზრიდანაც არის, [illegible] თავის მაზრას რომ ყველა მოვლენას გასცეს შესაფერი პასუხი.

ხასო მამაგარიანი.

კულტურული მუშაობა ჯარში

სამხედრო ხელოვნებასთან ერთად, ჩვენს აფიცრებს, რეორგანიზაციის შემდეგ, დააკისრეს ჯარში კულტურულ განმანათლებელი მუშაობაც. ამ უკანასკნელს კი, დიდი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ მას შესაფერისი დრო და ენერგია უნდა მოხმარდეს. აფიცერი ასეთი მუშაობის საშუალებით უახლოვდება ჯარისკაცს, ეცნობა იმის ფსიქოლოგიას. აფიცერი ინსტრუქტორია ჯარში სამხედრო ხელოვნების შესასწავლათ. კულტურულ განმანათლებელ მუშაობისათვის კი, იგივე—მასწავლებელია. ამ უკანასკნელის საშუალებით მას შეძლება აქვს დაუახლოვდეს ჯარისკაცს, შეისწავლოს მისი შინ ვარამი და ყოველივე მოთხოვნილება. შეიძლება პირველათ კიდევაც საძნელო გახდეს აფიცრებისათვის კულტურულ განმანათლებელი მუშაობა, მაგრამ სრული დარწმუნებული ვარ, თუ იგინი მოინდომებენ, სათანადო ინსტრუქციების დახმარებით, შესძლებენ ამ კეთილი საქმის მოგვარებას.

ამის სისრულეში მოსაყვანათ, ეხლავე საჭიროა შემოღებულ იქნეს რაზმებში სავალდებულო წერა-კითხვის სწავლება. სწავლება უნდა სწარმოებდეს იმ პროგრამის მიხედვით, რომელიც სულ მოკლე ხანში შემუშავებული იქნება კულტურულ განმანათლებელ სექციის მიერ.

ჩვენი ჯარისკაცებში, საკმაო რიცხვია წერა კითხვის არ მცოდნენი. უმთავრესი ყურადღება ამათ უნდა მიექცეს და დაუყონებლივ უნდა სწარმოებდეს მეცადინეობა მათთან.

აფიცრებმა რაზმის ასეულში წერა-კითხვის სწავლების გარდა, უნდა გამართონ ხოლმე მოკლე საუბრები საქართველოს წარსულიდან. ჯარისკაცებს მოკლედ უნდა უამბონ საყურადღებო ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან, მოკლე საუბარი სამშობლოს აღწერიდან და ვრცელი საუბრები კი, სამხედრო წეს-რიგის შესახებ.

აფიცრების ასეთი მუშაობა ჯარში თუმცა არ ყოფილა და შესაძლებელია პირველ ხანებში გაუჭირდეთ მათ, მაგრამ დღევანდელი საქმის მდგომარეობა მოითხოვს მათგან ასეთ მუშაობას. ყველაზე დიდი მოვალეობა რაზმის უფროსებს აწევს.

კულტურულ მუშაობის გაჩაღება ამ ნიადაგზე დღესვე საჭიროა. უნდა ვიცოდეთ, რომ ჯარი[illegible] უმეტესობას არ შეუძლია სავსებ[illegible] დააფასოს ერის დამოუკიდებლობა და აქედან გამომდინარე მოვალეობანი. ამიტომ, გარეშე თუ შინაურ ავანტიურისტთა და პროვოკატორთა წყალობით, შეიძლება ბრმა იარაღათ გადაიქცეს. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ყაზარმაში უსაქმოთ ყოფნა და იქაური უშინაარსო ცხოვრება, მეტად მოსაწყენი ხდება ჯარისკაცისთვის. მე არ ვივიწყებ სამხედრო ხელოვნებას, რომელიც ჯარის ცხოვრებაში უმთავრეს საგანს უნდა შეადგენდეს, მაგრამ საჭიროთ მიმაჩნია, სამხედრო ხელოვნების გადაცემასთან ერთად, ჯარში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობაც სწარმოებდეს, რომელსაც, როგორც შემდეგში დავინახავთ, დიდი ნაყოფის მოტანაც შეუძლიან.

ალ. გორგაძე.

ამხ. სიმ. ხუხუნაიშვილის დაკრძალვა.

9 სექტემბერს სიმონი ჩამოასვენეს თავის დედ-მამის ოჯახში და 11 სექტემბერს მიაბარეს ცივ სამარეს. მის ჩამოსვენებას და დასაფლავებას, მიუხედავათ ცუდი ამინდისა, დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. დაესწრენ ქ. ლანჩხუთისა და ოზურგეთის გვარდიელები, სამხედრო მუსიკით. წარმოითქვა სიტყვები, კუბო შემკული იყო 30-დე გვირგვინით. როგორც კერძო პირებმა, ისე ორგანიზაციებმა, სიმონის სახელობაზე შესწირეს სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებს თავთავიანთი წვლილი.

ამხ. სიმონის დაკარგვით ჩვენ დავკარგეთ, სამხედრო საქმეში კარგათ გამოცდილი ერთი პატიოსანი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი.

სიმონის მშობლებისთვისაც ხომ აუტანელია ეს დიდი დანაკლისი, მაგრამ მათი ნუგეში იქნება ის, რომ მათ სამშობლოს და თავისუფლების დასაცავათ გაზარდეს სასახელო მებრძოლი—გმირი.

მშვიდობით, ძვირფასო სიმონ. განისვენე იქ, სადაც შენებრ მებრძოლნი განისვენებენ, შენი სახელი უკვდავია!

თედ. ხუხუნაიშვილი

ყანების და ბოსტნების მტერი „მახრა“

(Trilotalpa vulgaris).

ომს თან მოჰყვა შიმშილობაც, რაც სხვათა შორის გამოიწვია თბილმა, უთოვლო და უქინვო ზამთრებმა, ამის მიზეზით მიწაში გაჩნდენ სხვადასხვანაირი მატლები, რომლებიც მოსავალს ანახევრებენ, და ამით დამმუშავებელს ცოტაღა რჩება ხელში. ის იძულებულია ნახევრად მშიერი იყოს, რაც მის ჯანმრთელობაზე ძლიერ მოქმედებს, რადგან ის სჭამს უნაყოფოს და ხშირად მავნე საჭმელსაც.

თუ ჩემი ხმა არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“, მიუთითებ ყველა ინსტრუქტორებს თუ აგრონომებს, რომ მათ მიმართონ სამაზრო ერობებს, გამონახონ მომავალი წლისთვის მაინც საშუალება, რომ ყველა მიწები, რომლებიც სიმინდით ითესებიან, მოიწამლოს, რითაც ის მავნე მატლები, რომლებიც მოსავალს აოხრებენ მიწაში, მოისპონ. მოწამვლა კი უნდა მოხდეს იმ დროს როდესაც ე. წ. „მახრა“ (Trilotalpa vulgaris) კვერცხებიდან გამოდის მილიონობით სიმინდის მომსპობელი მჭრელით.

მოწამვლა მიწისა ადვილია, თუ მას მივსცემთ საერთო ხასიათს და არა ერთი და ორი ქცევისას. უნდა ავიღოთ თაგვის შაქარი (мышьякъ) ერთი გირვანქა ერთ ფუთ სიმინდის ღერღილზე და ერთად მოვხარშოთ თავდაცულ ქურქელში, შემდეგ გავაციოთ, დავუშვნათ და ისე მოვაყაროთ დახნულ მიწას თესვის დროს. თუ ამან არ იმოქმედა და კიდევ გაჩნდენ მჭრელები, წამლობა მეორედ უნდა გავიმეოროთ მიწის ასვრით, რადგან თუ ის დავაყარეთ მიწის ზედა პირზე, მაშინ ვერ იმოქმედებს.

უფრო ადვილია ბოსტანში წამლობა, რადგან მათ არ უკავია იმდენი დიდი მიწები, როგორც ყანებს. მაგრამ შეიძლება კიდევ სხვანაირ ზომებს მივმართოთ. მაგალ. ანწლის ფოთოლს (бузиновый листъ). დარგვის დროს ბოსტანში მცენარეს ძირზედ უნდა შემოვახვიოთ ზემოხსენებული ფოთოლი და ისე დავრგათ, „მახრა“ მას ვერ ეკარება, რადგან იმ ფოთოლს აქვს ცუდი სუნი. არის კიდევ სხვა საშუალებები. ბოსტანში საზოგადოთ მიღებულია კვლები, რაზედაც შეგვიძლია კვლების ოთხივე კუთხეში ჩავდგათ ქოთნები მოწამლული საჭმელით, როგორც ყანაში იმ პროპორციით და ისევე შემზადებული მხოლოდ დარგვის წინ საღამოს, დილას კი უნდა ამოვიღოთ.

დასასრულ ვსთხოვ ყველა კუთხის ინსტრუქტორებს თუ დაინტერესებულ პირებს აღნიშნონ პრესაში არის თუ არა მათ რაიონებში სიმინდის მჭრელი. მას ეწოდება „მახრა“, ძირყვალა. grilotalpa vulgaris (медвѣдка). ფერად მოყვითალოა. გამოცდილმა პირებმა მიუთითონ სამაზრო ერობებს მათ მოსპობ საშუალებებზე. ამით ჩვენ შეგვიძლია დიდათ დავეხმაროთ ხალხს სასოფლო მუშაობაში.

მეურნე პლ. კვიჟიძე.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 25 სექტემბერს, შესდგა ს. ს. დ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. თავმჯდომარეობდა ამხ. ფ. ლორია.

წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა გასული კრების ოქმი.

როგორც ქვეკოლექტივების წარმომადგენლების მოხსენებებიდან გამოირკვა, მცირე კოლექტივებში პარტიული და კულტურული მუშაობა სასურველად სწარმოებს. ერთობის უბნის მცირე კოლექტივის წარმომადგენლის ცნობით, ხსენებულ უბნის მცირე კოლექტივის წევრთა საერთო კრებას აურჩევია სამი პირისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს ამ უბანში პარტიულ მუშაობის საქმეს.

ჩუღურეთის წარმომადგენელი აცნობს კრებას, რომ ჩვენმა მცირე კოლექტივმაც გადასწყვიტა ხშირ-ხშირათ გამართონ კრებები, სადაც უნდა იკითხებოდეს მოხსენებები და ლექციები—და ამ მიზნით კვირას, 28 სექტ., დანიშნულია კრება, სადაც ამხ. ნოე რამიშვილი გააკეთებს მომენტის შესახებ მოხსენებასო. რკინის გზის სამმართველოს ქვეკოლექტივის წარმომადგენლის თხოვნა, რომ 26 სექტემბერს, სამმართველოს რაიონის ს. დ. პარტიის წევრთა ახლად არჩეულ ქვეკოლექტივის მიერ დანიშნულია ს. დ. პარტიის წევრთა საერთო კრება და კოლექტივმა ამ კრებაზე დასასწრებლათ გამოგზავნოს თავის წარმომადგენელიო, კრებამ მიიღო და წარმომადგენლობა დაავალა ამხ. მინ. ტოროშელიძეს და ფილ. ლორიას, მხოლოდ კუკიის მცირე კოლექტივის წევრთა საზოგადო კრებაზე დასწრება, რომელიც ამავე მცირე კოლექტივის წარმომადგენლის ცნობით მოხდება კვირას, 28 სექტ.,—დაევალა ამხ. პლ. გაჩეჩილაძეს.

საფინანსო კომისიის წევრი აცნობს კრებას, რომ მეორე რაიონის კულტურული კომისია, კოლექტივის კასის გასაძლიერებლად კვირას, 28 სექტ., მუშათა კლუბის ახალ შენობასა და ბაღში გამართავს სახალხო სეირნობას საღამო-წარმოდგენით და სთხოვს კოლექტივს დახმარების აღმოჩენას. კრება განცხადებას ღებულობს და ავალებს კოლექტივის წევრ ამხანაგებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ საქმის მოწყობასა და მის სასურველათ ჩატარებაში. მოხსენებას აკეთებს ნ. გიორგაძის საქმის გამოსარკვევად არჩეული კომისიის წევრი. ის ამბობს, რომ კომისიამ ყურადღებით გადიკითხა ყველა დასახელებულ პირთა ჩვენებები და გამოიტანა შემდეგი დადგენილება: არც ერთ დასახელებულ პირთა ჩვენებაში არ არის დამტკიცებული გიორგაძის წინაამდეგ წამოყენებული ბრალდებები და ყველა ისინი იმეორებენ ერთ და იმავე უმნიშვნელო ფრაზას, რაც იურიდიული თვალსაზრისით, მიუღებელია და იმ ჩვენებებით, რომლებიც მათ ხელთ ჰქონდათ, გიორგაძის პარტიიდან გარიცხვა კომისიას შეცდომათ მიაჩნია და ადასტურებს ცენტრალურ კომიტეტის მიერ დანიშნულ სასამართლოს დადგენილებასო. კოლექტივმა კომისიის დადგენილება მიიღო. ამხ. პ. გაჩეჩილაძის ცნობით, ამ დღეებში მოხდება მომხმარებელ საზ. „ელორძინებას“ განყოფილებებში რწმუნებულთ არჩევნები გამგეობის ასარჩევათ და სასურველათ სცნობს ამ არჩევნებში მხურვალე მონაწილეობის მიღებას. მცირე კამათის შემდეგ კოლექტივი ადგენს, მიიღონ ენერგიული ზომები, რათა ხსენებული არჩევნები სასურველათ ჩატარდეს და გამგეობაში შევიდნენ დემოკრატიის მიერ ნდობით აღჭურვილი პირები.

ქალაქის საბჭოს გამგეობის წევრის ამხ. ფანიევის წერილობითი თხოვნაზე, რომ ამხ. ქიტიაშვილმა, რომელსაც გაეგება მე-9 უბნის სასურსათო განყ. მომხდარ ბოროტმოქმედების საქმე, მიაწოდონ მას ყოველივე ცნობები, კრება ავალებს ამხ. ქიტიაშვილს მიაწოდოს ქალაქის სასურსათო განყოფილებას უტყუარი საბუთები ხსენებულ უბანში ბოროტმოქმედების შესახებ. კოლექტივის მდივნისა და ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადება გადაიდო მომავალი კრებისათვის.

თედ. ხუხუნაიშვილი.

პროვინცია

ხ. ხელთუბანი. 7 სექტემბერს მოხდა ხელთუბნის რაიონის ერობის ერთეულების ხმოსნების კრება თ. რაზიკაშვილის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო გორის სამაზრო ერობის თავმჯდომარე ახალაძე და სამიწათ-მოქმედო გამგეობის წევრი შ. ჯავახიშვილი. კრებამ სხვა კითხვათა შორის ორი საკითხი განიხილა: 1) სადგომი მილიციისთვის და ერობის გამგეობისთვის.

კრებამ ერთხმათ გადასწყვიტა ერთ [illegible] და ამხ. ახალაძეს ეთხოვოს შუამდგომლობა აღძრას სადაც ჯერ არს, რომ თუ ყიდვა-გაყიდვა კერძო პირებზე არ შეიძლება, ერობამ შეიძინოს თავისი თანხიდან.

არჩეულ იქნა მესამე გამგეობის წევრათ თ. რაზიკაშვილი. ჯამაგირები მოემატათ 1400—1600 მანეთამდის.

წელს ხორბლის მოსავალს კაი პირი უჩანდა, მაგრამ მოსავალი ძალიან მცირე იყო ყურძენი სრულიად გაფუჭებულია, არც თუ ხილის მოსავალია კარგი. სოფელში წვრილი ქურდობა, უმთავრესად ბაღებში და ვენახებში, ძალიან არის გავრცელებული. სოფელში ბევრი ნაგავი და სიბინძურეა დაგროვილი, საცალფეხო ხიდი სოფელში და სხვა ბევრი ამისთანები გასაკეთებელია და ერობის გამგეობის პირდაპირი მოვალეობაა, ამას ანგარიში გაუწიოს.

ხელთუბნელი.

— —

გორი. სამაზრო სახალხო გვარდიის შტაბთან არსებულ ს. კეცხოველის სახელობის სამკითხველოს და ადგილობრივ ს. ს. დ. მ. პ. კომიტეტის სასარგებლოთ 17 აგვისტოს ს. კეცხოველის სამკითხველოს გამგეობის ინიციატივით გამართული იყო დიდი სახალხო სეირნობა, გაფართოებული, შინაარსიანი პროგრამით, რომელსაც მთელი გორის დემოკრატია შეგნებულათ შეხვდა და მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჩვეულებისამებრ. საღამო სასიამოვნოდ ჩატარდა და ხალხი დიდათ კმაყოფილი დარჩა.

მთელი საღამოს შემოსავლის საერთო ჯამია: 23,088 მან. 70 კაპ. ხარჯების ჯამი: 6,438 მან. წმინდა შემოსავალი დარჩა: 16,650 მან. 70 კ. მთელი შემოსავლის ჯამის მესამედი გადაეცა ადგილობრივ ორგანიზაციას ს. ს. დ. მ. პარტიისას 5,550 მან. 24 კ. სამი ათასი მანეთი (3,000 მან.) გადაეგზავნა დარჩენილ თანხიდან ს. მაისურაძის სახელობის სამკითხველოს, არსებულ თფ. ცენტ. მუშ. პრ. კ. კავშირთან და დარჩენილი თანხა 8,100 მან. 46 კ. გადაეცა ს. კეცხოველის სახელობის სამკითხველოს. საღამოს გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს ყველა ამხანაგებს თანამშრომლებს, რომლებმაც თავისი ენერგიული შრომით და თავგანწირული მუშაობით საშუალება მოგვცეს საღამოს მოწყობაში, რითაც დაამტკიცეს თავისი გულწრფელი სიყვარული დემოკრატიის წინაშე.

საღამოს მომწყობი ბიურო.

——

ხაჯამიას ხერი. (ოლმ. გურია). 6 სექტემბერს ხაჯამიასხერზე მოწვეული იყო მიტინგი, სადაც უნდა გაეკეთებია მოხსენება დამფ. კრების წევრს ამხ. სარდიონ თევზაძეს. მიუხედავათ იმისა, რომ მიტინგი მოწვეული იყო არა უქმე დღეს, საზოგადოება მაინც ურიცხვი დაესწრო. ამხ. თევზაძემ ილაპარაკა და გაგვითვალისწინა ყოველივე ის პირობები, რომელშიაც დამფ. კრებას უხდებოდა მუშაობა. გაგვაცნო ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც შინაური, ისე საგარეო მდგომარეობა. გაარკვია სხვადასხვა გადასახადები, რომლებიც უკმაყოფილებას ბადებს ხალხში ბოროტი ენის წყალობით. გაგვაცნო ის რეფორმები, რომელიც შემოიღო დამფ. კრებამ. ორატორის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე, რომლებმაც მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს მომხსენებელი და გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიაც აღუთქვეს მთავრობას, როგორც მატერიალური, ისე ზნეობრივი დახმარება ცხოვრებაში ყოველივე იმ რეფორმებისა, რომლებიც შემოიღო და შემოიღებს საქართველოს უზენაესი ორგანო—დამფუძნებელი კრება.

ხაჯამიასხერელი.

— —

დ. აბაშა. აბაშის რაიონის მცხოვრებთა დიდი ხნის სურვილი ორ თვეზე მეტია, რაც სენაკის სამაზრო ერობამ აასრულა: დ. აბაშაში დაარსა რაიონული მომრიგებელი სასამართლო.

ამ მცირე ხნის განმავლობაში სასამართლოში მრავალი საქმეები გაირჩა. ხალხი. განსაკუთრებით ღარიბი მოსახლეობა ძლიერ კმაყოფილია სასამართლოს სიახლოვით. მართალია, ჯერ-ჯერობით არაა აბაშის სასამართლო უნაკლო, მაგრამ სენაკის სამაზრო ერობის გამგეობის შრომის მოყვარეობა თავდებია იმის, რომ ყველა მისი ნაკლი უახლოეს დროში გამოსწორდება. განსაკუთრებით უკმაყოფილების გამომწვევია მოსამართლის დაბალ ხალხისათვის მიუწვდომლობა. ადგილობრივი მოსამართლე სენაკის სასამართლოს ყოფილი ბოქაული ბ. სამსონ გამყრელიძე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახალ დაარსებულ სასამართლოებს ერობები მეტი ყურადღებით უნდა მოექცენ. პირველ ხანებში ნაჩქარევათ დანიშნული უღირსი მოსამართლენი უნდა გაიდევნონ დემოკრატიულ სასამართლოებიდან.

სასამართლოების გაეროვნების შემდეგ, თუ ყველა სასამართლოებში დემოკრატი მოსამართლეები [illegible], [illegible] მევერმეტყველი ხალხი ჩქარა ვექილების აყვანასაც გადაეჩვევა.

რომ სასამართლოებში კიდევ ერთი შტატი—სახელდობრ თხოვნების უფასოდ მწერალი—შეემატებოდეს, მაშინ წვრილ ვექილებს აქედნი გასავალი არ ექნებოდა. და ხალხიც თავისუფლად ამოისუნთქავდა.

უწინ, როცა საქმის წარმოება რუსული იყო, კაცუნა ვექილების მოქმედების ასპარეზი ნაკლები იყო, რუსულის უცოდინრობის გამო. დღეს კი ყველა დაზარმაცებულს უნდა ვექილი იყოს.

უნდა დაადგინონ ერობებმა, რომ ყველა, ძველად ცნობილ კომბინატორ—„ვექილებს“, რომლებიც საკუთარ ხელით დაატარებდენ ქრთამებს მაღალ თანამდებობის პირებთან,—აეკრძალოთ ახალ სასამართლოებში „ვექილობა“.

ამ ჟამად აბაშის მსგავს სასამართლოების გარშემო იკრიბებიან ძველ დროში მარშლების და ბოქაულ-მოხელეების გარშემო ზნელად მომუშავე პირები—„მესამე ხელები“, ე. ი. ისეთები, რომლებიც მთხოვნელს ქრთამს გამოართმევდენ, მოხელეებს მისცემდენ და ესენი კი მათ ნაწილს აძლევდენ. კერძოთ აბაშის სასამართლოზე მივაქცევ სენაკის ერობის გამგეობის ყურადღებას.

ა. ფ—ძე.

განცხადებანი

ქუთაისში პუშკინის ქუჩაზე
იყიდება სახლი
№ 1 ინჯიასი. იკითხეთ სახლის პატრონი.
(3—2)

ცეკვის კურსები
მე-27 დე წელი
ი. ა. როზენბერგისა
სპეციალურად კავკასიური ცეკვა. მგრეთვე საბალეტო დამახასიათებელი და ევროპიული. ნაყოფიერი სწავლებისათვის იძლევა პირობას. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ. საღამოს 9 საათამდე. ნიკოლოზის. ქ. № 101. (4—2)

იყიდება
გურიაში ჩიბათის საზოგადოების სოფელ ლესაში ოდა-სახლი ოთხი თვალი, ოთხი ბუხრით, ქვის ბოკვნებზე, უკან დიდი ფანჩატური, მარსელის კრამიტით დახურული. პირობების გაგება ადგილობრივათ და ბათუმი თბილისის ქუჩაზე № 36 დავით კუნჭულიასთან (4—1)

იყიდება
ბუხჰალტერია
ს. ტარუაშვილისა
წერა კითხვისა და „განათლების“ მაღაზიაში. იბეჭდება ს. გლახაშვილის ნაწერების პირველი ტომი.

ექიმი [illegible]
იღებს ავადმყოფთ შინაგან, ქალთა და ბავშვთა სნეულ. მუდამ დღე 11—1 საათამდე, ნიკოლოზის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

კბილის ექიმი
ე. გ. ზიბაური-ისაკიანი
იღებს კბილისა და პირის ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და საღამოს 4—7 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 15 ბინ. 3. კონსერვატორიის მახლობლად.

ექიმი ე. ჩიჯავაძის ბაქტერიოლოგიური, სერო დიაგნოსტიური და ქიმიურ-მიკროსკოპიული ლაბორატორია
იღებს გამოსაკვლევად სისხლს: Wassermann-ის; Weinberg-ის, Widal-ის რეაქციები, სრული კლინიკური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მალარია, Opermeyer-ის სპიროხეტები და სხვა. შარდს, განავალს, ნახველს, რძეს, ლორწოს, ჩირქს, ხერხემლის ტვინის სითხეს, კუჭის სითხეს და სხვა. ამზადებს აუტოგენიურ ვაქცინას. 26 მაისის (ოლღას) ქუჩა. გაბაშვილის შესახვევი № 3. მასალა მიიღება დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ექიმი [illegible]
მიიღებს განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს ყოველ დღე 11—12 საათ. დილით, 5—7 საათ. საღ. მიხეილის პრ. 117, ტელ. 13—27.

ექიმი ა. ი. ძუთათელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღ. 5—7 საათ. გარდა კვირისა. მიხეილის პრ. № 55. ფოსტის პირდაპირ. ტელ. 10-46.

ექიმი გ. მ. მუხაძე.
დაბრუნდა და განაახლა ქირურგიული ავადმყოფების მიღება ახალ ბინაზე—მიხეილის საავადმყოფოს გვერდით. ავადმყოფებს მიიღებს საღამოთი 5—6 საათ. კვირა და უქმე დღეების გარდა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ლ. ა. [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. [illegible]

ექიმი [illegible]
[illegible] საღამოთი 4—7 ს. დის. ბინა: მიხ[illegible] პროსპ. № 64. ტელეფონი 14

ექიმი მ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და [illegible] (შეშხაპუნება „606“ და [illegible]) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე [illegible] ორგანოების სნეულებანი. ავადმყ. მიიღება ყოველ დღე დილის 8—[illegible] საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი ქალი რ. ბ. [illegible]
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიული კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგ[illegible]. სიფილისის წამლობა (606—914) დილ. 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26.

ექიმი იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლეხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტელეფონი 11—06.

ექიმი ბ. ზ. [illegible]
ქალისა და [illegible] ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა გ. ა. [illegible]
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯავს და წამლობს X სხივებით, დიდი სინათლით და [illegible], [illegible] ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისთვის; ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—93.

ექიმი ბ. დ. [illegible]
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“. მიიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6. მიხეილის პროს. ხასტურინის „[illegible]“ პირდაპირ № 116. ტელ. 14—22.

ექიმი დ. მ. [illegible]
[illegible] შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა ავადმყოფებს დილის 12—1 საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: [illegible] ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

სახალხო სახლი (ზუბალაშვილისა)
ხუთშაბათს, 2 ოქტომბერს
დასავლეთ საქართველოდან და ფრონტიდან დაბრუნებული
კაპელა
ქართ. სამუსიკო საზ—ბის და ამიერ. კავკ. კოოპერატივთა კავშირისა კომპოზიტორ დ. ი. არაყიშვილის ლოტბარობით გამართავს
კონცერტს
(2—1)

მუსიკალური სკოლა ქარ. სამუსიკო საზოგადოებისა
თხოვნების შემოტანა შეიძლება. სამუსიკო სკოლის კანცელარია ღია არის ყოველ დღე 10—2 საათამდე და საღამოთი 5—7 მდე. პარაკლისი დანიშნულია კვირას, 28 სექტემბერს, 12 ნახ საათ. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს. მასწავლებლებათ მოწვეულნი არიან:
ფორტეპიანოს კლასში: მ. მ. ავალიანი, ო. მ. ბერგ-პივოვაროვი [illegible] კალაშნიკოვისა. თავის. ხელოვ. ს. ს. კარაკაში, ე. გ. ქიქოძე, ე. ი. [illegible]კისა, თავის. ხელოვ. რ. ე. ხოსროევისა; სკრიპკის კლასში. ა. ნ. [illegible] თავის. ხელოვ. ი. ი. ფიშბერგი, ფ. ს. კაც. ვიოლონჩელის კლასში [illegible] ხელოვ. ი. ს. აბაშიძე. სიმღერის კლასში: გ. ი. კიოილოვისა, ო. ა. [illegible], ფ. ნ. პოლიაევი. ანსამბლის კლასში, ი. ს. აბაშიძე. თეორიის და კომპოზიციის კლასში დ. ი. არაყიშვილი. (1—1)

„ზაოტატ“
დამფუძნებელნი ამიერ-კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე საქციონერო საზოგადოებისა იწვევენ ქ. ქუთაისში, ბ-ნ ლევან პეტრეს ძე ბოკოჩაშვილის ბინაზე 5 ოქტომბერს, მეაფთიაქეთა და დროგისტების—საზოგადოების ორგანიზაციის და მისი ფუნქციის დაწყების შესახებ სათათბიროთ. დასწრება შეუძლია გარეშე პირთაც ვინც დაინტერესებულია ხსენებული საქმის შექმნაში.

ოთშაბათს, ამა წლის 8 ოქტომბერს (ახ. სტ.) დილის 10 საათზე დანიშნულია
ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის

რწმუნებულთა ჩვეულებრივი წლიური კრება

შემდეგი კითხვების განსახილველათ:

1) განხილვა და დამტკიცება 1918 წლის ანგარიშისა,
2) მიმოხილვა კავშირის საქმიანობისა 1919 წ.,
3) მოხსენება სარევიზიო კომისიისა,
4) განხილვა და დამტკიცება 1919 წ. ხარჯთ აღრიცხვისა.
5) ცვლილებანი და დამატებანი კავშირის წესდებაში,
6) გეგმა კავშირის სამერმისო საქმიანობისა,
7) არჩევნები კავშირის გამგეობის წევრებისა იმათ ნაცვლად, რომლებიც უნდა გამოვიდნენ გამგეობიდან, თანახმად წესდების მე 50 §-სა,
8) სარევიზიო კომისიის არჩევნები,
9) დელეგაციის გაგზავნა მომავალ საერთაშორისო კოოპერატიულ კონფერენციაზე,
10) მიმდინარე საქმეები.

თანახმად წესდების 29 §, ყოველ მოკავშირე კოოპერატივს აქვს უფლება გამოგზავნოს ყრილობაზე ორი რწმუნებული. სამს რწმუნებულს აგზავნის [illegible] კოოპერატივი, რომლის წლიური ნავაჭრი კავშირში ან კავშირის [illegible] ყველა აღემატება ღირებულებით 25 ათასი მანეთს; ხოლო ოთხს, თუ ნავაჭრი [illegible] მი აღემატება 50 ათასს. საერთო რიცხვი კი კოოპერატივის რწმუნებულთა [illegible] არ უნდა აღემატებოდეს ოთხს.

აცხადებს რა ზემოხსენებულს, ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა, სთხოვს მოკავშირე კოოპერატივებს დროზედ აირჩიონ და [illegible] ნონ ყრილობაზე თავისი რწმუნებულები.

დაწვრილებითი ცნობებს ყრილობის შესახებ ჩამოსულნი რწმუნებულნი მიიღებენ ამიერ კავკასიის კოოპერატივთა კავშირი. (გოლოვინის გამზირზე [illegible] საკუთარი სახლი)

(4—3) ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის გამგეობა.

[illegible] [illegible] [illegible] [illegible], № 1